

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

სურგულაძე რუსუდან

**სიტყვაწარმოების თავისებურება ტაო-კლარჯულ
მეტყველებაში**

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი-ელზა ფუტკარაძე, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

სიტყვაწარმოება ენის საინტერესო და მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, იგი ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა.

დიალექტებს, სალიტერატურო ენის მსგავსად, დიდი შესაძლებლობები მოეპოვება ახალი სიტყვების წარმოშობისათვის. ასევეა ტაო-კლარჯული მეტყველებაც. ისიც სალიტერატურო ქართული ენის მსგავსი ხერხებისა და საშუალებების გარდა, ახალი სიტყვების წარმოებისა თუ წარმოქმნის დროს ავლენს თავისებურებებს, რაც საინტერესოა ქართული ენათმეცნიერებისათვის. სიტყვაწარმოების თავისებურებებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ძველ ქართულ ენაში არსებული სიტყვაწარმოების წესები, ასევე, აფიქსები ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით ან კიდევ შეცვლილი ფუნქციითაა წამოდგენილი. დასტურდება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული წარმოება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აქტუალურია სიტყვაწარმოების თავისებურებათა კვლევა ტაო-კლარჯულ მეტყველებაში. ტაო-კლარჯული მეტყველება, როგორც ვიცით, უცხოენოვან გარემოშია მოქცეული. ეს რეალობაც ტაო-კლარჯულ მეტყველებას სახასიათოს, საინტერესოსა და ზედროულს ხდის.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს აღნიშნული მეტყველების სრულყოფილად შესწავლას და გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის აღნიშნული დიალექტოლოგიური არეალის შესახებ.

Rusudan Surguladze

Word Formation in Tao-Klarjetian Speech

Annotation

Word formation is an interesting and important part of any language, it is the most flexible and changeable part of the language.

Dialects, like literary language, have great potential for the emergence of new words. The Tao-Klarjetian Speech is the same. In addition to similar methods and means of literary Georgian language, it also reveals peculiarities in the production or formation of new words, which is interesting for Georgian linguistics. Observations on the peculiarities of word building revealed that in Tao-Klarjetian type of speech the rules of word formation in the old Georgian language are more or less preserved, as well as affixes are sometimes presented with phonetic changes or even with the modified function. The word formation that differs from literary Georgian is confirmed.

In view of all the above, we think that the study of the peculiarities of word production in Tao-Klarjetian speech is relevant. As we know, Tao-Klarjetian speech is in a foreign language environment. This reality also makes Tao-Klarjetian speech distinctive, interesting and well-timed.

We think that the present paper will contribute to the thorough study of this speech and will give us some idea about the mentioned dialectological area.

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	6
შესავალი	9
I თავი	
1.1. ქონების და უქონლობის სახელთა წარმოება	16
1.2. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება	22
1.3. ხელობის სახელთა წარმოება	26
1.4. წარმომავლობის სახელთა წარმოება.....	28
1.5. დანიშნულების სახელთა წარმოება.....	36
1.6. წინა ვითარების სახელები	38
1.7. მცენარეთა კრებულის სახელები	39
1.8. კნინობითი სახელები.....	41
1.9. გეოგრაფიულ სახელთა წარმოება	43
1.10. ზედსართავ სახელთა წარმოება.....	46
1.11. რიცხვითი სახელის წარმოება.....	47
II თავი	
2.1. უცხო აფიქსიანი სახელები ტაო-კლარჯულში	51
2.2. უცხო ძირიანი სახელები ქართული მაწარმოებლებით	52
III თავი	
3.1. კომპოზიტები ტაო-კლარჯულში.....	60

3.2. სახელთა გაზმნავება	63
დასკენები.....	65
გამოყენებული ლიტერატურა.....	75

წინასიტყვაობა

სიტყვაწარმოება ენის საინტერესო და მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, იგი ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა, რომელიც ლექსიკის გამდიდრების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. სიტყვაწარმოების საშუალებით ენა განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც ასახავს საზოგადოების კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას. ცალკეული ენებისათვის დამახასიათებელია სიტყვაწარმოების სპეციფიკური ხერხები. ისინი ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი თვისებაა. მაგალითად, „გულ“ ძირისგან შეგვიძლია მივიღოთ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები: საგულე, გულიანი, გულითადი, უგულო, გულუხვი, გულკეთილი, გულფიცხელი და ა.შ.

სიტყვაწარმოების ადგილის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით. აკ.შანიძე მას მორფოლოგიას აკუთვნებს (შანიძე,1973:325). სხვათა შეხედულებით, სიტყვაწარმოება ლექსიკოლოგიის ნაწილადაა მიჩნეული (არნ. ჩიქობავა, ვ.თოფურია, ა.დლონტი, ა.კიზირია).

მართალია, მნიშვნელოვანია სიტყვაწარმოების ადგილის განსაზღვრა, მაგრამ ჩვენთვის არსებითი სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესწავლაა. ჩვენი კვლევის მიზანიც, სწორედ, ენის ეს საინტერესო საკითხია. კერძოდ, ტაო–კლარჯულ მეტყველებაში სიტყვაწარმოების თავისებურებათა შესწავლა–ანალიზი. სიტყვაწარმოება არის ის ბაზა, ის საფუძველი ენისა, რომლითაც ჩვენი ენის ლექსიკური მარაგი მდიდრდება. ამ კუთხითაც, ქართული ენის გრამატიკის ეს მონაკვეთი მეტად საინტერესოა. მითუმეტეს, უფრო საინტერესო და საყურადღებოა, სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა დიალექტში, რადგან

სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, დიალექტი შეუზღუდავი მეტყველებაა, მასში თვითნებურად ვითარდება გრამატიკული პროცესები, ამიტომ ენობრივ პროცესთა მრვალფეროვანი სურათი გვეძლევა. საყურადღებოდ მოგვაჩნია, ისეთი თავისებურებების გამოვლენა, რომლებიც შეიმჩნევა რომელიმე დიალექტში, მაგრამ არ გვხვდება სალიტერატურო ენაში ან პირიქით. აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტში ესა თუ ის მაწარმოებელი სხვა შინაარსობრივი დატვირთვით, ფუნქციით იყოს შესული.

დიალექტებს, სალიტერატურო ენის მსგავსად, დიდი შესაძლებლობები მოეპოვება ახალი სიტყვების წარმოშობისათვის. ასევეა ტაო-კლარჯული მეტყველებაც. ისიც სალიტერატურო ქართული ენის მსგავსი ხერხებისა და საშუალებების გარდა, ახალი სიტყვების წარმოებისა თუ წარმოქმნის დროს ავლენს თავისებურებებს, რაც საინტერესოა ქართული ენათმეცნიერებისათვის. სიტყვაწარმოების თავისებურებებზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ძველ ქართულ ენაში არსებული სიტყვაწარმოების წესები, ასევე, აფიქსები ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით ან კიდევ შეცვლილი ფუნქციითაა წამოდგენილი. დასტურდება სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული წარმოება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, აქტუალურია სიტყვაწარმოების თავისებურებათა კვლევა ტაო-კლარჯულ მეტყველებაში.

თემის აქტუალურობა განსაკუთრებით განისაზღვრება იმით, რომ ისტორიული ბედუკულმართობის გამო, XVI საუკუნიდან სამხრეთ საქართველო ოსმალეთმა მიიტაცა. მიიტაცა ის კუთხე, რომლის მიმართ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, სულის ძლიერებას იქ აღუმართას სახელგანთქმული

დროშა...სწავლა, განათლება, მამულისადმი თავგანწირული ტრფიალი იქიდან ეფინებოდა ერთ დროს ქვეყანას“ (ჭავჭავაძე,1973:125). ოსმალებმა საქართველოს წაართვეს მთელი ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელი, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, ოსმალეთის შიგა პროვინციებში იძულებით გადაასახლეს. ბუნებრივია, აქაურთა მეტყველება მოწყვეტილია თავის მასაზრდოებელ წყაროს – ქართულ ენას და განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას. ამ რეალობის ფონზე კი, ტაო-კლარჯელთა მეტყველებაზე დაკვირვება უფრო საინტერესოს, სახასიათოსა და ზედროულს ხდის კვლევას.

საუკუნეების განმავლობაში შეუსწავლელი იყო ამ კუთხის მეტყველება. მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებიდან იწყება ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის ახალი ეტაპი.

ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს აღნიშნული მეტყველების, საერთოდ, სამხრულ-დასავლური კილოების სრულყოფილად შესწავლას და გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის აღნიშნული დიალექტოლოგიური არეალის შესახებ.

კვლევისას გამოვიყენეთ ემპირიულ მასალაზე დაკვირვება, შედარებისა და ანალიზის მეთოდი. საჭიროებისამებრ, ტაო-კლარჯულის დიალექტური მონაცემები შევუდარეთ აჭარულ დიალექტს და აჭარულ კილოსთან შედარებისას გამოვიყენე ჩემ მიერ ჩაწერილი მასალები. შედარების შედეგად გამოიკვეთა საინტერესო დასკვნები. ნაშრომს აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დანიშნულება.

შესავალი

როგორც ცნობილია, ქართული ენა დიალექტთა სიუხვითა და ენობრივი თავისებურებებით გამოირჩევა. ქართული ენის დიალექტთა შორის სამხრულ–დასავლურ დიალექტებს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მან ისტორიულად გარკვეული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

დიალექტოლოგიური კვლევა და მისი ანალიზი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას, რადგან ეროვნული ენის შესწავლის ერთ–ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სალიტერატურო ენა საზრდოობს დიალექტებით. დიალექტებში წარმოების არაერთ თავისებურებას ვხვდებით. დიალექტურ მოვლენათა მიმართება სალიტერატურო ენასთან ფრიად საყურადღებოა, რადგან ყველაფერი თანდათან აისახება სამწერლო ენაში. დიალექტში არსებული, შემორჩენილი ესა თუ ის ფორმა გვებმარება სალიტერატურო ენის ზოგიერთ ფორმათა გაანალიზებაში, ამიტომ დიალექტებზე დაკვირებას, შესწავლასა და ანალიზს არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან შესაძლებლობას ხდის უშუალოდ დავაკვირდეთ მეტყველების განვითარების ტენდენციებს.

როგორც ცნობილია, დიალექტთა ერთ–ერთ ჯგუფს წარმოადგენს სამხრულ–დასავლური დიალექტები. აღსანიშნავია, რომ ტაო–კლარჯეთი მნიშვნელოვანი ნაწილია სამხრეთ საქართველოსი. ტაო–კლარჯულს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საუკუნეთა განმავლობაში ძველი ქართული სამწერლო ენის ჩამოყალიბებასა და გამდიდრება–განვითარებაში. აქაური ქართული მეტყველების საფუძვლიანი შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ბევრ ფურცელს მოჰფენს ნათელს. ამ მხარის მეტყველება, მთავარი მასაზრდოებელი წყარო იყო ძველი ქართული სალიტერატურო ენის.

დღეს, სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, გარდა აჭარისა, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ე.წ. „ოსმალის საქართველო“ XVI საუკუნიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ბუნებრივია, მათ მეტყველებაში შევიდა თურქული ენის ელემენტები, როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული.

აღნიშნული დიალექტების შესწავლას საფუძველი აკად. ნ. მარმა ჩაუყარა. მან იმოგზაურა კლარჯეთსა და შავშეთში 1904 წლის ზაფხულში. აკადემიკოსი აკვირდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებას და მას იმერხელი კილო უწოდა. ნ. მარმა სამხრეთ საქართველოს მხოლოდ ეს ადგილი მოიარა. ჩაიწერა მცირე მოცულობის ფოლკლორული და დიალექტოლოგიური ტექსტები, რომელიც მოგზაურობის დღიურთან ერთად, დაიბეჭდა 1911 წელს. თუმცა, ის სხვა მიზნით მოგზაურობდა, კერძოდ, მას აინტერესებდა მატერიალური კულტურის ძეგლები. წმ. გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებული ეკლესია-მონასტრები.

აკად. ნ. მარის შემდეგ, სამხრეთ-საქართველოში სამეცნიერო მიზნით 1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა იმოგზაურა, მაგრამ მისი, როგორც ისტორიკოსის, კვლევის სფეროში უფრო მატერიალური კულტურისა და ეპიგრაფიკული ძეგლები შედიოდა.

XX საუკუნის 90-იან წლებამდე, თურქეთის ქართულ ტერიტორიაზე, არცერთ ქართველ მკვლევარს აღარ დაუდგამს ფეხი. ამ დრომდე, მეცნიერები სამხრეთ საქართველოს შესახებ მხოლოდ იმ ჩანაწერებითა და ცნობებით მსჯელობდნენ, რომლებიც ძველი თაობის მკვლევრებმა დაგვიტოვეს.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველ მკვლევრებს შესაძლებლობა მიეცათ „ოსმალის საქართველოში“ მოგზაურობისა და მუშაობისა. პირველი იყო პროფესორი შუმანა ფუტკარაძე, რომელმაც 1989 წლიდან დაიწყო

თუქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებთან მოგზაურობა და აქ მცხოვრები ქართველების, „ჩვენებურების“ ენაზე დაკვირვება. ის მოგზაურობდა ბევრ სოფელსა თუ ქალაქში, გაეცნო სხვადასხვა ასაკის, სოციალური მდგომარეობის, რელიგიური შეხედულებისა და განათლების მქონე პირებს. ჩაიწერა იქ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშები, ფოლკლორული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, დიალექტოლოგიური ტექსტებია. დიდია მისი ენათმეცნიერული ღირებულება. ჩაწერისას ზედმიწევნითაა დაცული მეტყველების ნიუანსები. პროფ. შ. ფუტკარაძემ „ოსმალოს საქართველოს“ ქართველთა მეტყველების ნიმუშები 1993 წელს გამოაქვეყნა ცალკე წიგნად, რომელსაც „ჩვენებურების ქართული“ უწოდა. წიგნი იქმნებოდა ხუთი წლის მანძილზე. მასში მოცემულია თურქეთის რესპუბლიკაში მოსახლე ქართველების, „ჩვენებურების“, მეტყველების ნიმუშები, შესავალი წერილები და ლექსიკონი.

2016 წელს გამოიცა „ჩვენებურების ქართულის“ მეორე ნაწილი, სადაც მოცემულია ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი. ორივე ნაწილმა სპეციალისტთა და საერთოდ, ქართული საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროფ. შ. ფუტკარაძის შემდეგ, თანდათან, ინტენსიურად დაიწყო ამ კუთხის მეტყველების შესწავლა. პროფესორ მამია ფაღავას ხელმძღვანელობით, 1995 წელს მოეწყო პირველი ექსპედიცია ისტორიულ ტაოში. ასევე, საკითხს იკვლევდა ქუთაისის ინსტიტუტის ჯგუფი პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. 2013–2019 წლებში, სისტემატურად ხორციელდებოდა ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიცია საკვლევ რეგიონში და სხვა. თითოეული მათგანი მოგზაურობის დროს ცდილობდა მოეპოვებინა ემპირიული მასალები სხვადასხვა დარგის

მიხედვით. თითოეული ტექსტი ძალიან მნიშვნელოვანია და დიდია მისი ენათმეცნიერული ღირებულება.

ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ მკვიდრთა მეტყველება ერთიანია და მას ძირითადად იმერხეულ, ზოგჯერ კლარჯულ კილოს უწოდებდნენ, თუმცა რაც უფრო მეტად გაგვაცნო თავი ამ კუთხემ, მით უფრო სხვადასხვა აზრია სამხრულ–დასავლურ დიალექტთა გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით.

ქართული სალიტერატურო ენის დიალექტთა კლასიფიკაციისას იმერხეული (თურქეთში გავრცელებული ტაო–კლარჯული მეტყველება) აჭარული და გურული კილოების ერთად დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტურ ჯგუფსაა მიკუთვნებული (ჯორბენაძე, 1989:574).

სხვა შეხედულებით, აჭარული და იმერხეული ქართული ენის სამხრულ–დასავლურ დიალექტურ ჯგუფს ქმნიან (მარტიროსოვი, 1972:72).

როგორც ვიცით, დღეს აქტიურად მიმდინარეობს ისტორიული ტაო–კლარჯეთის მეტყველების შესწავლა. შესაბამისად, საენათმეცნიერო ლიტერატურაში საკვლევი დიალექტური ჯგუფის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებებია.

პროფ. შ. ფუტკარაძე, მის მიერ იქ ჩაწერილი მეტყველების ნიმუშებზე დაკვირვების საფუძველზე, გამოყოფს შემდეგ კილოებს: **იმერხეულს, ლივანურს (ნიგალურს), მაჭახლურსა და ტაოს ქართულს (ტაოურს)**. მან კლარჯეთში შემავალი კუთხეები ერთმანეთისგან გამოყო ისტორიულ–გეოგრაფიული, ენობრივი და ეთნიკური ნიშნით.

ის საისტორიო წყაროების მიმოხილვის საფუძველზე, აღნიშნავს, რომ ჭოროხის აუზის ქვემო წელს მოიცავდა კლარჯეთი და აღწევდა ოლთითის

ოკრუგამდე. კლარჯეთში შედიოდა თვით კლარჯეთი, იმერხევი, შავშეთი, ნიგალისხევი და სავარაუდებელია, აჭარაც.

იმერხევი შავშეთის მნიშვნელოვან კუთხეს წარმოადგენს, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება სხვა კუთხეების ქართულისგან. სიახლოვეს ამჟღავნებს მესხურთან და აჭარულთან.

მიჭიხიანი ანუ მაჭახელიც შედიოდა შავშეთში, რომლის ერთი ნაწილი, ზედა მაჭახელი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში, ბორჩხის რაიონშია მოქცეული. მაჭახლური მეტყველება მსგავსებას ამჟღავნებს იმერხეულ და ქვემო აჭარულ მეტყველებასთან.

კლარჯეთის ერთ–ერთი კუთხეა, ასევე, ნიგალის ხევი ანუ ლივანა, რომლის მეტყველება გამოირჩევა ზანიზმებით, რითაც საკმაოდ შორდება იმერხეულს და ნაწილობრივ ახლოს დგას ქვემო აჭარულთან და მაჭახლურთან.

მაშასადამე, პროფ. შ. ფუტკარაძის აზრით, საუკუნეთა განმავლობაში ისტორიულ კლარჯეთში ჩამოყალიბებული ჩანს ეთნიკურ–ტერიტორიული დიალექტები – იმერხეული, ლივანური და მაჭახლური.

რაც შეეხება ტაოურს, რომელიც იუსუფელის რაიონში დღემდეა შემონახული, ცალკე დიალექტად გამოყო შ. ფუტკარაძემ და ტაოს ქართული უწოდა. იგი სხვა დიალექტებისგან გამოირჩევა არქაიზმებით, ზანური და სომხური ენების სუბსტრატით (ფუტკარაძე, 2016:10).

საინტერესოა პროფ. მამია ფაღავას შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მამია ფაღავა სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფისას ითვალისწინებს ლინგვისტურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებს. მისი აზრით, იმერხეული ისტორიული შავშეთის ნაწილია და არ შეიძლება გამოიყოს კილოდ. მამია ფაღავა აღნიშნავს, რომ იმერხევი შავშეთს

„უპირისპირდება“ იმიტომ, რომ შავშეთის იმ ნაწილმა, რომელსაც დღეს შავშეთს უწოდებენ, დაივიწყა ეროვნული, ქართული ენა. იმერხეველების ცნობიერებაში შავშელები „გათურქდენ“, ამიტომ შავშეთი გაიყო ორ ნაწილად: იმერხევად, რომელმაც შეინახა ქართული ენა და შავშეთად, რომელმაც დაივიწყა ქართული ენა. შესაბამისად, იმერხეველთა მეტყველებას უწოდეს იმერხეული კილო. თუმცა, მამია ფაღავა არ იზიარებს ამ ტერმინს, რადგან მას მიაჩნია რომ ტერმინი ვერ ასახავს ვერც ისტორიულ და ვერც თანამედროვე სინამდვილეს. აქ გასათვალისწინებელია ყველა გარემოება, პირველ რიგში ის, რომ იმერხევის გარდა, ქართული ისმის შავშეთის სხვა სოფლებშიც. მაგალითად, სოფელ უსტამისში. შესაბამისად თვლის, რომ ეს ტერმინი მოუხერხებელია და უმჯობესად მიაჩნია ამ კუთხის მეტყველებას შავშური კილო ეწოდოს, ხოლო იმერხეული ჩაითვალოს შავშურის ერთ კარგად გადარჩენილ კილოკავად.

ასევე, მამია ფაღავა აღნიშნავს, რომ მაჭახლურის ცალკე დიალექტად გამოყოფა არასწორია და მაჭახელაც ისტორიულად, ეთნოგრაფიულად და ლინგვისტურადაც უნდა შედიოდეს შავშეთში.

რაც შეეხება ლივანურს, კლარჯული დიალექტიდან იგივე პრინციპით გამოყოფს ორ კილოკავს: ზემოკლარჯულს და ქვემოკლარჯულს, ქვემოკლარჯულში განიხილავს ლივანურ მეტყველებას (მ.ფაღავა, 2015:123).

ამდენად, მ. ფაღავას აზრით, სამხრულ მეტყველებაში გამოიყოფა: 1. აჭარული (ზემო აჭარული, ქვემო აჭარული და ქობულეთური); 2. შავშური (მაჭახლური და იმერხეული კილოკავებით); 3. კლარჯული (ზემოკლარჯული და ქვემოკლარჯული); 4. ტაოური (ფაღავა, 2015:136).

ბუნებრივია, სამხრულ-დასავლური დიალექტების დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით შესაბამის ლიტერატურაში, რადგან სხვადასხვა საკლასიფიკაციო პრინციპს ეყრდნობიან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად შესწავლილია ამ კუთხის მკვიდრთა მეტყველება. თუმცა არის ისეთი საკითხებიც, რომელთა ფუნდამენტულად შესწავლა და ცალკე გამოყოფა საინტერესო სურათს მოგვცემს. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან და მთავარ საკითხად მიგვაჩნია სიტყვაწარმოება ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, რომლის შესახებაცაა საუბარი წინამდებარე ნაშრომში. თემის აქტუალურობა უპირველესად განისაზღვრება იმით, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ, უცხოენობრივ გარემოში მოქცეული ქართული ენის დიალექტებში შეინიშნება ეროვნული ენისგან განსხვავებული, სპეციფიკური სიტყვაწარმოების ნიმუშები.

ამ მიმართებით კვლევა შექმნის ერთიან სურათს ტაო-კლარჯულ მეტყველებაში სიტყვაწარმოებით თავისებურებათა შესახებ. მართალია, აღნიშნული დიალექტების კვლევისას ენათმეცნიერთა მიერ არის განხილული სიტყვაწარმოების საკითხები, თუმცა სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

I თავი

სიტყვაწარმოების თავისებურება ტაო-კლარჯულ მეტყველებაში

1.1. ქონებისა და უქონლობის სახელთა წარმოება ტაო-კლარჯულ მეტყველებაში

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილა, რომ ყოლა-ქონების გამომხატველი სუფიქსებია: -იან; -იერ; -ოსან, -ოვან; -ედ; -ა. ჩამოთვლილთაგან, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ყოლა-ქონების გამომხატველ სუფიქსებთაგან ძირითადად გავრცელებულია: -იან; -იერ; -ოვან. ამათგან, ყველაზე ხშირად გვხვდება -იან სუფიქსი. ეს სუფიქსი ქონების შინაარსის გადმოსაცემად დაერთვის როგორც ქართულ, ასევე, თურქულ სიტყვაპირებს.

ბუნებრივია, რომ -იან სუფიქსი ძირითადად გვხვდება ქართულ სიტყვაპირებთან და ამასთანავე, პროდუქტიული მაწარმოებელია: გაღმა ქი **თოვლიანი** თეები ჩანს (იმერხ.:282); გამუაცხოვთ ყეთმერ, ქადას, **კაკლიან** ქადას (იმერხ.:248); **სისხლიანი** აზიზი მაჭიხელში გედევდა (იმერხ.:252); **ძიანი** შორვა (ლივ.:305); გარეველი თხა არი ტყეში **ქიებანი** (მაჭახ.:336); მაგრე შამოი **ქემრიანი** (მაჭახ.:350); მე შენთინ ჩამოველი **წყალიანი** ყანიდან (მაჭახ.:351); ერთი სერვის სკივრი მაქ, გუმშიშის **კარიანი**, იმის კლიტე მე მაქვა, ალთუნის **ტარიანი** (მაჭახ.:351); გაღმა **თოვლიანი** თაა (ტაო:172); გინდა **მაწიანს** გააკეთავ (ლივ.:297); **ზივიანი** ლაჩაქი რა ლამაზათ გიხდება (იმერხ.:222); ჩემ ნიშანლის აცვია **თეთრიანი** ზუბელი (იმერხ.:222); თუნთულმა **ტანიანი** ბუზმები დააკერია (იმერხ.:255); გურჯიჯა რომ არ იციან, ისინი **კუდიანები** გახდენ (იმერხ.:256); იმ ჯამის ეზოში წევს ერთი **მადლიანი** ხოჯა კაცი (ლივ.:299); **ბუხრიანი** ოდა აქვა სახლსა (ლივ.: 299); **ხახვიანიც** არი, უხახვოც (ლივ.:305); ეს ტაფაა, **ტარიანი** (იმერხ.:204); ნეკერ ჩოყერი, **ფიჩხიანი** თუ არი დავჰსწავთ

(იმერხ.: 197); ნარცხ, **ფხალიან** მოხარშავდა, რომ ძროხამ მეიწველოს (ფუტკ.:147); გოგოსი **ყვავილებიანი** ჩერჩები იყო (ფუტკ.:150); ზოგი კაი **ფეხიანი** არიო (ფუტკ.:155); **შავტარიანი** დანა (ფუტკ.:158); უკბილომ **კბილიანი** შიმიჭამაო (ფუტკ.:179); ჰა მიხვალ შე შავო კაცო, **დედმამიანთან** ძვალი სახრელად, ბილი საჭმელად (ფუტკ.:164).

–იან სუფიქსი თურქულ სიტყვაძირებთან: ვინცხათვინ **ალთუნიანი** ბებექი მუუყიდავს (იმერხ.:229); საქონელი ზოვდენ **იალიან** ბალახსა (იმერხ.:247); **რამაზნიანი** ვარ (იმერხ.:287); აზბიშიე **ჰერსიანი** იყო (იმერხ.:219); ფრინჯიან, **ფათათესიან** ხორც გავაკეთავთ (ლივ.:319); თხილი იქნება **თხელყაბულიანი** (ლივ.:330); **შერბეთიანსაც** კაკალ დააყრი, დანაყულ (ლივ.:297).

არაერთი ნაშრომი მიემდგნა –იან სუფიქსის გენეზისისა და ფუნქციების საკითხს. საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აღნიშნული მაწარმოებელი მიღებული უნდა იყოს ეან–ისგან. მისი ძველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო წარმომავლობისა და მიმდევრობის აღნიშვნა. შემდეგ კუთვნილების გაგება შეიძინა, თუმცა –იან სუფიქსის უძველეს ფუნქციად კრებითობის, სიმრავლის გამოხატვასაც ასახელებენ (შანიძე,1973:123).

მიუხედავად იმისა, რომ –იან მაწარმოებელი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ძირითადად ყოლა–ქონების შინაარსის გამომხატველია, ტაო–კლარჯულ მეტყველებაში სხვა შინაარსსაც გამოხატავს. აქ –იან სუფიქსს ჯერ კიდევ აქვს შემორჩენილი იმ შინაარსობრივი ნიუანსების გამოხატვის ძალა, რაც ძველ ქართულში ჰქონდა. ტაოურში, იმერხეულში, ლივანურში, ზედა მაჭახლურში შტო–გვარების მაწარმოებლადაც გვევლინება –იან,–ან,–ენ სუფიქსები. აღნიშნული სუფიქსები, ხშირად, მრავლობითი რიცხვის გენეტივის „თ“ აფიქსსაც დაირთავენ: ზუელ გუარები ქუაბაგისა? – **დევრიშიანნი, ყარააჰმედიანნი, კაკულიანნი, სალეფიანნი, პეტოანნი...**

(ტაო.:174); ჩუენებურების ზუელი გუარები, სოიადებია: გოგოანი, სალევანი, თოფლიანი, იაპიანი, შეიხიანი (ტაო.:178); ეს მეხვარათა ბასილიან რეჯებამა ბალხილამ (ტაო.:175); თოფალოღლები მამისიანი ყოფილან (ლივ.:297); ბაბუნთ ქონდენ კარაპანი (იმერხ.:255); ნენიენთ ქონდენ ტრაპილოზი სარტყელსავეთ (იმერხ.:255); შავშეთლიენთ წევდა (იმერხ.:259); დარბაზიენთ კალოზე დააჟდა კევრზე იმისი ბაღვი (იმერხ.:269); მეღმიენთ უზახდენ ზოგსა, დარბაზიენთიცი არიან (იმერხ.:205).

აღსანიშნავია, რომ შტო-გვარების ამგვარი წარმოება გვხვდება ქართული ენის ზოგიერთ მთის დიალექტში. უპირატესად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: ხევსურულში, მოხეურში, ფშაურსა და მთიულურში (უთურგაიძე, 1968: 139; ქავთარაძე, 1985: 65). „თუ შტო-გვარის სახელები იწარმოება –იან სუფიქსით, მრავლობითის ნიშნად გამოყენებულია –ნ,-თ: ოდ-იან-ნ-ი >> ოდიაშვილები, ოდ-იან-თ გივარგი >> ოდიაშვილი გიორგი“, „ხევსურულში, ფშაურში, მოხეურში ებ სუფიქსის პარალელურად გამოიყენება –ნ, –თ სუფიქსებიც მაშინ, როცა იწარმოება ოჯახის-შტო გვარების სახელები: ლეკონი >> ლეკოს ოჯახი, ჯალიბი; წიწონი >> წიწოს ჯალიბი >> წიწონთ გიორგი“(ჯორბენაძე, 1989: 234).

მსგავსი ვითარება რაჭული დიალექტის კილოკავებშიც შეინიშნება მაგალითად, რივნისთაურში გვარ-ტომობის სახელები იწარმოება –იან, –ენ სუფიქსებით: ნანუკიანი, ხოშიტიანი, გოგნიენი, ასევე ხშირია, ერთი და იმავე ფუძისგან პარალელური წარმოებაც: პაატიანი//პაატენი (ჯორბენაძე, 198: 418; მოწინიძე, 1973: 173; თოფურია, 1954: 62).

ივ. ქავთარაძე აღნიშნავს რომ მოხეურში, დიდი გვარის შიგნით გაჩნდა განშტოებები, რომლებიც მამის სახელით აღინიშნა, –ენ, –ეთ და –იან, –იანთ სუფიქსების დახმარებით. ენათმეცნიერის აზრით, –ენ,-ეთ სუფიქსები, მოხეურში გავრცელებული ჩანს გვარის სახელებში: ჩოფიკაშვილების

შემცვლელია ჩოფიკენი, ავსაჯანიშვილებისა-ავსაჯანენი. –იან სუფიქსი, ქართლურ-კახურშიც შტო-გვარის წარმომავლობის საწარმოებლად გვაქვს: ყაზბეგი-ყაზბეგიანნი, ოდიშვილი-ოდიანნი (ქავთარაძე, 1985: 65).

გარდა აღნიშნულისა, –იან სუფიქსი წარმომავლობისა და სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება, როცა აღნიშნულ სუფიქსიანი სახელები ნანათესაობითარი სახელობითის ფორმით არიან წარმოდგენილნი: ნენესანი წასულან რუსიეში; ტაიასანი მომენატრენ; ბინიესან მივდეთ; ისმეილასან არ ველაპარიკებით.

დავსძენთ, რომ ამგვარი წარმოება გვხვდება ზემო აჭარულ მეტყველებაშიც: ბევჯერ ტაიასანიც მომიგზავნეს ელჩათ (აჭარ); მილმასანიც დადიოდენ ხშირად დაბლასანთან (აჭარ); თამაზისანი ჩამოვდენ სტუმრად (აჭარ).

ამგვარ წარმოებაზე მსჯელობისას პროფ. შ.ფუტკარაძე აღნიშნავს: „მსგავსი წარმოება დადასტურებულია ზემოაჭარულში, კერძოდ, მირათის (მართის) ხეობის იმერხევთან მოსაზღვრე სოფლებში, ასევე ღორჯომის, რიყეთისა და სხალთის ხეობების მცხოვრებთა მეტყველებაში. შენიშნულია ქვემოიმერულშიც“ (ფუტკარაძე, 2016: 618).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, –იან სუფიქსი ქონების შინაარსის გამოხატვის გარდა, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ინარჩუნებს თავის ადრინდელ ფუნქციებს, რასაც ძველ ქართულში გამოხატავდა, კერძოდ, სიმრავლის, მიმდევრობისა და წარმომავლობის გამოხატვა.

„ოვან“ სუფიქსი კი, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ქონების სახელთა საწარმოებლად თითქმის არ გვხვდება. იგი იმერხეულ, ტაოურ, ლივანურსა და ზედა მაჭახლურ მეტყველებაში ზედსართავ სახელთა თანაბრობითი ხარისხის გამოსახატავად გამოიყენება და ასევე, სიმრავლის გაგებაც ახლავს: თავები

აქუან დიდუანი თალგამსა (ლივ.:297); ჩუენ ოჯალში პატიტვანმა ყუელამ, თეელმა იციან გურჯიჯა (ლივ.:298); ბულლოს დიდროანი ფურცლები აქვა (ლივ.:301); პალუმა ლობიო დიდრუანია (ლივ.:311); ჩემი ღარჭები ჯერა პატიტუანი არიან (ლივ.:314); მერიემაი და ფატყუმაი წუყუყუანია, პაწაწუანი ყოფილან (იმერხ.:263); ჩვენ პატიტუანი ღარჭები ვიყავით (ტაო:173); დიდრუანი ციცხვები აქუან (ტაო:180). მაკარონებ დიდვანი გობებით გამოჭრიდენ (ფუტკ.:146); დიდვან ხიებიდან მოჭრი პაწვან ტან (ფუტკ.:164); ფეხები ბრუდე აქვან, ჰემ პაწვან–პაწვანი არიან (ფუტკ.:155).

შევნიშნავთ, რომ ოვან//ვან სუფიქსით ზედსართავი სახელის „ხარისხის ფორმათა წარმოება ახასიათებს აჭარულ დიალექტსაც: ამისიხომრვანი, თითისიგრძვანი“ (ნიჟარაძე, 1976: 138; ნიჟარაძე, 1982: 44).

„იერ“ სუფიქსი დასტურდება მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში. სალიტერატურო ქართულში აღნიშნულია, რომ ეს მაწარმოებელი ყოლა–ქონებას თითქმის აღარ გამოხატავს, მის ადგილს ამ მხრივ ძირითადად –იან სუფიქსი იკავებს (შანიძე, 1973: 124). „იერ“ სუფიქსი სამხრულ–დასავლურ დიალექტებშიც არაა აქტიური გამოყენების, იგი უპირატესად მხოლოდ ერთ ფორმაში გვხვდება: გავხედევდით, რომ ყუელა სოფლიერი გამოსულა ცალმარხილათი (იმერხ.:230); გზაში ჩავდგებოდით, თელი სოფლიერი (იმერხ.:230); სოფლიერი სულ შეიტყობდა; მეიყრებოდენ სოფლიერი (იმერხ.:235); ზუელათ ჩვენი სოფლიერი საფლავებზე წადიოდენ (იმერხ.:236).

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უქონლობის სახელთა მაწარმოებლად გამოიყენება: უ–ო და უ–ურ თავსართ–ბოლოსართები, ამათგან უფრო ძველია უ–ურ მაწარმოებელი (შანიძე, 1973: 126). ტაო–კლარჯულ მეტყველებაშიც უქონლობის სახელთა გამოსახატავად გამოიყენება აღნიშნული მაწარმოებლები.

უ-ო: მოდიან ავატყოფები, **უშვილოები** და ღმერთსა ეხუეშებიან შუელასა (იმერხ.:194); **უიმანო** შავ მიწაში აჯაბ იქ რა გეშველება (მაჭ.:356); ესა **უწყალო** ფერდია (იმერხ.:240); **უქონო** ხორცია (მაჭახ.:336); **უდელოდ** ნუ შედგება, გემოსდაკარქავს (იმერხ.:262); იდარეს ვერ იქ **უქალოთ** კაცი (იმერხ.:265); **ულოგინოთ** დაწოლაში გვერდზე ამოსული მაქ ეკლები (იმერხ.:280); **უქონო** ხორცია (მაჭახ.:336); **უიმანო** შავ მიწაში აჯაბ იქ რა გეშველება (მაჭ.:356); ბევრხან **უმარილო** ჩორბები იჭამა, **უყაზილოდ** იყო (ფუტკ.:156); შევწვი **უცეცხლო**, შევჭამე **უკბილო** (ფუტკ.:159); **უკბილომ** კბილიანი შიმიჭამაო (ფუტკ.:179); **უმარილო** წახდება (ლივ.:319); არი **უხახვო** (ლივ.:305).

უ-ურ: ჩემი ქორწილი **უგემური** არ გიმიხადოთ (ლივ.:328).

უ-ელ: **უმუუხარშველ** რომ დანაყვენ, იმით კეთდება ფაფა (იმერხ.:269); **უდუუქორწინებელი** იყო (იმერხ.:215). ხშირად –ელ აფიქსს –ავ ფორმანტი ენაცვლება. პარალელურად გვხვდება **უმუუხარშავი** და **უმუუხარშველი** ფორმა. ასევე, ულოცავი და ულოცველი ფორმა: ამ დუნიაზე **ულოცავი** საქონელია ხარივითო (მაჭახ.:356).

ამდენად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ყოლა-ქონების აღმნიშვნელი მაწარმოებლებიდან ძირითადად გვხვდება –იან, –ოვან, –იერ. თვალში საცემია, რომ ქონების შინაარსის გადმოსაცემად გავრცელებულია –იან სუფიქსი: **თოვლიანი, ალთუნანი, ტარიანი, კუდიანი, ზივიანი, ძიანი, რამაზნიანი, ჰერსიანი...** –იან სუფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხოძირიან ლექსემებს.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ –იან სუფიქსი ყოლა-ქონების შინაარსის გამოხატვის გარდა, სხვა შინაარსობრივი ნიუანსითაც იტვირთება. კერძოდ, შტო-გვარების მაწარმოებლადაც გვევლინება: **კაკულიანი, ყარაჰმედიანი,**

საღეფიანი... ასევე, –იან სუფიქსი წარმომავლობისა და სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება, როცა სახელი ნანათესაობითარი სახელობითთაა გადმოცემული: **ტაიასანი, ბიბიასანი, ნენესანი...** ამდენად, ტაო–კლარჯულ მეტყველებაში –იან სუფიქსი ინარჩუნებს ძველი ქართული ენის ფუნქციას, კერძოდ, სიმრავლეს, მიმდევრობასა და წარმომავლობასაც გამოხატავს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ –ოვან სუფიქსს ტაო–კლარჯულ მეტყველებაში დაკარგული აქვს ქონების შინაარსის გამომხატველი ძალა. ის მხოლოდ ზედსართავ სახელთა თანაბრობითი ხარისხის გამოსახატავად დასტურდება: **დიდუანი, პატიტუანი, პაწაწუანი...**

–იერ სუფიქსიანი სახელები არც აქ გვხვდება. იგი მხოლოდ ერთ ფორმასთანაა აქტიური გამოყენების – **სოფლიერი**.

ტაო–კლარჯულ მეტყველებაში უქონლობის შინაარსის გადმოსაცემად ძირითადად უ–ო თავსართ–ბოლოსართი ბატონობს: **უდედო, უწყალო, უქალო, უქონო, უცეცხლო...** სპორადულად გვხვდება უ–ურ: **უგემური**.

1.2. აბსტრაქტულ სახელთა წარმოება

როგორც ვიცით, ქართულ ენაში აბსტრაქტულ სახელთა წარმოება ხდება –ობა, –ება სუფიქსებითა და სი–ე პრეფიქს–სუფიქსის საშუალებით. ტაო–კლარჯულ მეტყველებაშიც აბსტრაქტულ ცნებათა აღმნიშვნელი სახელთა საწარმოებლად გვხვდება იგივე მაწარმოებლები, თუმცა, –ება და სი–ე იშვიათად, ხოლო –ობა უპირატესად. აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი აფიქსები ტაო–კლარჯულ მეტყველებაში გვხვდება როგორც ქართულ, ასევე, თურქულ სიტყვა–ძირებთან.

ქართულ სიტყვა-ძირებთან: **ლამაზობა** და **სიყვარულობა** ყველაზე კაია დუნიაში (მაჭახ.:367); **სადილობა** უკან გოგოს მაყარიც, ბიჭის მაყარიც დეიპანტვის (მაჭახ.:335); ესა **ახალობის** სურათებია (იმერხ.:196); ჩემი **ცოცხლობა** მორჩენილიაო, ჩვენ გევეცნეთო (იმერხ.:202); ამ სოამ **მეზობლობა** იყო მაშინა (იმერხ.:212) აჭარასთან კაი **მეზობლობა** გვექონდა (იმერხ.:212); **წისქვილობა** ქონდა (იმერხ.:232); ზოგ ხოჯას **ექიმობაც** ქონდა (იმერხ.:237); მოკდენამდი **ქალობა** არ უქნიაო (იმერხ.:259); **ღალატობა** რომ შამოიდა, ვერავის ვეღარ ვენდობი (იმერხ.:280); **ბაღლობაში** რომე ვიტყოდით (ლივ.:319); სკოლაში **მასწავლებლობა** ვიჯები (ლივ.:310); **სადამოითობა** წუელავს (ტაო:175); დედამთილმა გამგზავნა ბოსტანში **მწვანილობაზე**, **მწვანილობა** თლათ შევაპუწკე (ფუტკ.:178); **მარხულობას** რომ ვიქთ, თვარეს ვუყურავთ (ფუტკ.:154); თვარიდაჭირვა, **ცოდინარობა** ასე არ იყო (ფუტკ.:155); მაშინ **ბევრობა** იყო, ყველამ წეველით (ფუტკ.:147); **მარიობა**დ მოყრილობა აქ არი (ფუტკ.:149); **ქალ-კაცობა** სევდა სხვანაირია (ფუტკ.:149).

თურქულ სიტყვა-ძირებთან: **სერბესობას** რა ჯობს (იმერხ.:195); ცამეტ წელიწად სოფლის **მუხტრობა** ვქენ (იმერხ.:270); ღმერთმა ბევრი **ხარმანობა** მოგვასწროს (იმერხ.:270); ჩვენ ოჯახსა **ჯუმბუშობა** ძალიან მიყუარან (ლივ.:314); ზაფხულ-ზაფხულ **იაიალაჯობა** ვიჯებით (ლივ.:315); წინწინ **ფუხრობა** იყო (ლივ.:320); ადრე ზროხის **თუჯრობა** ვიჯებოდი (ლივ.:330); **თემბლობა** არის ხალხისა (ლივ.:306); **გენჯობაში** ავჯობას ვიქნევდით (ლივ.:306); **დოსტობას** ვიზამთ (მაჭახ.:335); ლულ **ხარბობა** იყო (მაჭახ.:342); **ხარმანობა** თხუთმეტ დღეს გაწევს (მაჭახ.:344); რუსის **ჰიზმეთუჯობა** რაში რაში გამოადგება? (მაჭახ.:362); **სირყეთობის** ამბავები (მაჭახ.:347); **დელიობის** რაპორი (ლივ.:327); ძალი მომყავს, **დუგუნობა** გუაქ (ლივ.:310); ჩემი შვილი იჯებნება სეჩიმით **ბაშკანობა** (ლივ.:309); ენ დიდი **მაფიოზობა** წორე ყოფნაა (ფუტკ.:153); **თერბიელობა** იყო ამ დროს (ფუტკ.:177). ბრინჯ გადაყრიდენ

დედოფალ, რომ **ზენგიობა** იყოსო, **ბერექეთობა** იყოსო (ფუტკ.:146); **ნიმანლობა** იცოდენ (ფუტკ.:150).

აღსანიხნავია, რომ სამხრულ–დასავლურ დიალექტებში –ობა სუფიქსი, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, **გამოიყენება მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად**. ხშირ შემთხვევაში იგი გამოდის კრებით სახელად მაგ: იმხანის ხალხი ჩუენ **აჭარლობას** გავს (მაჭახ.:339); თურქიეში **თურისტობას** ძალიან უყურებენ, უჯანგო ფაფრიქა არი, **ტურისტობა**, კაი მოგება აქ (მაჭახ.:361); ყველა ხილობა არი (იმერხ.:239); აბა, მშვიდობით, კაი **დღიობა** (იმერხ.:253); თქუნს კაი **ბალახობა** იცის (იმერხ.:223); ართვინი **სოფლობაში** ყოფილა ამფერი ნათქუამი (იმერხ.:210); **კოტრობა** მეგიყვანიან თქუნა?! (იმერხ.:223).

როგორც აღვნიშნეთ, მრავლობითობის გამოხატვა –ობა სუფიქსით უცხო არაა ქართული დიალექტებისთვის. მსგავსი წარმოება შენიშნულია ქართლურ, კახურ, ჯავახურ და აჭარულ დიალექტებშიც.

კახურსა და ჯავახურში „მრავლობითობა შეიძლება გამოხატოს –ობა სუფიქსიანმა კრებითმა სახელებმა: შინ **ბაღლობა** (ბაღლები) უტირის; შაიყარა **ბიჭობა**; ქალობამ (ქალებმა) აფოცხოს **კაცობამ** (კაცებმა); სხვა **ხარობა** (ხარები) შეგვიბეს“ (ჯორბენაძე, 1989 :326,388; მარტიროსოვი, 1956 :87; ბერიძე, 1988:123).

აღნიშნულის გარდა, ამგვარი წარმოება გვხვდება აჭარულ დიალექტშიც. საანალიზო ფორმებს დავამოწმებ ჩემ მიერ ჩაწერილი მასალიდან: **მეზობლობა** წევდა მის სანახავად (აჭარ); ჩვენი **სოფლობა** ძალიან მიეჩვია (აჭარ).

საყურადღებოა, რომ –ობა სუფიქსი ზოგჯერ **საწყისური წარმოშობისაა**. **ობა**–თი ნაწარმოები ზოგიერთი სახელი ახლოს დგას საწყისთან, გამოხატავს მოქმედებას. მაგ: **კალვობა** დოუწყიან (იმერ.:285); **კალვობა** ვიცით, ხარმანობა

თხუთმეტ დღეს გაწევს (მაჭახ.:344); **ჯოლი ჭალობაზე** მუა (იმერხ.:200); **თაბარობაი** არი ახლა, **ჩხოკობა** გუაქ (იმერხ.:199); გაზაფხულ სოფელში შუელ, **ყანა-ჭალობა** ვქენ, ახლა **ჩხოკობა** გვაქ (იმერხ.:195); **ფანჯარჯობა** ქვია ჩუენსა **მემხლიანობას** (მაჭახ.:339); **ყიშლობა** გუაქ, პური ვერ გამომიცხვია (იმერხ.:203); **ასკრობა** ვქენე ამ ახლო ხანში (იმერხ.:2018); ზაფხული მუა, **ფხეკობა** იქნება (იმერხ.:257); **ასკრობას** ვუცდი. **ასკრობას** რომ მავარჩენ, ბათუმნა წამოვდე (იმერხ.:257); **მარცვლობა** დეიწყო ვიტყვით (ფუტკ.:162); სიმინდის **ხარმანობა** დევეწყეთ (ფუტკ.:163); **ხარმანობა** იყო, ხერტლის ნადი იყო, სიმინდის ნადი (ფუტკ.:152).

დასტურდება ერთეული შემთხვევა, როცა **ება**-თი ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები გვხვდება: **გაკუჭიანება, გაჭერსება** იქნება (ტაო:174).

–ობა სუფიქსის შინაარსობრივ ნიუანსზე არაერთხელ გამახვილებულა საენათმეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება. პროფ. მამია ფაღავა –ობა სუფიქსის შინაარსობრივ ნიუანსზე მსჯელობისას აღნიშნავს: „ობა გამოხატავს სიმრავლე-კრებიტობას: **მოყრილობა** იქნებოდა; შარშან ფენა **თაფლობა** იყო; ახლა **ტილობა** არ არის“ (ფაღავა...2011:272).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კი, ასე მსჯელობს პროფ. შ. ფუტკარაძე: „ობა-თი ნაწარმოებ ზოგიერთ სახელს თავისებური ლექსიკურ-სემანტიკური ელფერი დაჰკრავს. მაგ: ...იქნება **სიყვარულობა**... „სიყვარული“ ისედაც აბსტრაქტული სიტყვაა, „სი-ულ“-ით ნაწარმოები ძველი საწყისი. „ობა“- ს დართვით ნაწარმოებია ახალი სიტყვა – „**სიყვარულობა**“: ძველათ **სიყვარულობა** არ იყო; **სიყვარულობა** ახლა იციან გენჯებმა...“ (ფუტკარაძე, 2016: 254).

ასევე, გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა „სი-ე“-ს ენაცვლება „-ობა“ : **ლამაზობა** გიყვარდეს უნდა (იმერხ.:208); **ლამაზობა** და სიყვარულობა ყველაზე

კაია დუნიაში... (მაჭახ.:367); ჩემი **ცოცხლობა** მორჩენილიაო, ჩუენ გევეცნეთო (იმერხ.:202).

როგორც აღვნიშნეთ, **სი-ე** პრეფიქს-სუფიქსის გამოყენების სფერო შეზღუდულია, აბსტრაქტული სახელები ძირითადად –**ობა** სუფიქსითაა ნაწარმოები. აქვე დავსძენთ იმასაც, რომ **სი-ე** თავსართ-ბოლოსართის გამოყენების არეალი აბსტრაქტულ სახელთა აღსანიშნავად ძველ ქართულშიც შეზღუდულია (მარტიროსოვი, 1984:128).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ძირითადად გვხვდება –ობა სუფიქსი როგორც ქართულ, ასევე თურქულ სიტყვა-ძირებთან: **ლამაზობა, ახალობა, ქალობა, ბაღლობა, ცოდინარობა, ჯუმბუშობა, მუხტრობა, დუგუნობა...** მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში –ობა სუფიქსი, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოიყენება მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად: თქვენსა კაი **ბაღახობა** იცის (იმერხ.:223); კაი, **დღიობა** მოგცეს (იმერხ.:253)...

ობა-თი ნაწარმოები ზოგიერთი სახელი გამოხატავს მოქმედებას, იგი საწყისური წარმოშობისაა: **კაღვობა, ჩხოკობა, ასკრობა, ჭალობა...**

1.3. ხელობის სახელთა წარმოება

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ხელობის სახელთა გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი: **მე-ე** და **მე-ურ**. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხელობის გამოსახატავად აღნიშნული აფიქსები გამოიყენება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ გვხვდება თურქული მაწარმოებლებიც (cu,cu,ci) მაგ: **ოტელჯიმ** გვითხრა, რომე ღამე მოვდენ აგენტები (ლივ.:313).

ხელობის სახელთა მაწარმოებლად ძირითადად დასტურდება მე–ე თავსართ–ბოლოსართი: ბაბოი მენავე იყო (ლივ.:313); მელოგინე ქალსა ენწინ ხავიწ გუუკეთებთ (ლივ.:320); იქავრი მეტყე მევლუდაი ვამღერეთ (იმერხ.:240); შარშან ზამთარში ჩემი ახრაბის ქალი მელოგინე იყო (მაჭახ.:367); მემთევრები კრეფენ (მაჭახ.:336); მემსხლეები მოსულანო, იტყოდენ (იმერხ.:243); თურქჩა ბალჯი ქო“ი ქვია, მეთაფლე (ლივ.:319); მეცხვრე ცხენით იარება (ტაო.:177); ფანჯარჯი მეფხალეა (მაჭახ.:369).

ზოგჯერ მე–ე აფიქსი გართულებულია –ურ, –იან, –ობ ბოლოსართის დამატებით. მაგ: მემსლიანი (აქედან იწარმოება აბსტრაქტული სახელი მემსლიანობა) ამოვდოდა თაზე; მემთევრინა (მემთევრი უნდა) გახდეს? ზამთარში ჩემი ახრაბის ქალი მელოგინობაზე აწყალმი მოკვდა.

მო–ე: წინწინ მოსამე ვიყავით (მაჭახ.:342); იმისი მოსამიებიც ინახვის (მაჭახ.:345); ფენა მოსამე ხარ,ჰაა! (იმერხ.:210); ზორ მოსაქმე ხალხი ყოფილან მაშინ (იმერხ.:266); მოსამიები, მოზდე იქნებიან ბევრი (იმერხ.:243); „მე–ე“–ს მაგივრად შეიძლება შეგვხვდეს „მო–ე“, მაგ: ზროხა მოწველე (მეწველე) გყავდესნა(იმერხ.:214).

ამრიგად, ხელობის სახელთა საწარმოებლად ტაო–კლარჯულ მეტველებაში გვხვდება მე–ე და მო–ე პრეფიქს–სუფიქსი: მენავე, მელოგინე მეტყე, მოსამე, მოსაქმე...

საყურადღებოა, რომ ქართული პრეფიქს–სუფიქსების პარალელურად გამოიყენება თურქული მაწარმოებლებიც(cu,cu,ci): ოტელჯი, ბალჯი...

1.4. წარმომავლობის სახელთა წარმოება

ცნობილია, რომ წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გამოიყენება: –ელ, –ურ, –იურ, –დელ, –ეულ. ამათგან ტაო–კლარჯულ მეტყველებაში წარმომავლობის სახელებს ჩვეულებრივ –ელ და –ურ ბოლოსართები აწარმოებს.

„–ელ“ – ბოლოსართი, როგორც ცნობილია, ადამიანთა სადაურობის მაჩვენებელია (შანიძე, 1973: 127). იგივე დანიშნულებით გამოიყენება –ელ ტაო–კლარჯულ მეტყველებაში. მაგ: **ბუჯურელი** გოგო ძალი გიგვიხდა (ლივ.:307); ცოლი გურჯი მყავს, **მაჩხატეელი** ხატიჯე სარაჩი (იმერხ.:231); ერთი **მანატბიელი** ყოფილა, ერთი ჩვენებური (იმერხ.:202); ჯინალიდამ მოსულ ქალსა ქვია **ჯინალელი**, ჩიხვტიდამ მოსულ–**ჩიხვტელი**, გაყრილობიდან–**გაყრილობელი** (იმერხ.:196); გურჯიჯე ვიცო ამბობს **ჩიხვთელი** ქალი (იმერხ.:207); ჯუარებური კაცი, **ჩიხვტელი** ქალი აგზედამ წევდენ (იმერხ.:209); **აგარელი** ქალები დასხედით მაგრე (იმერხ.:243); **აკრიელი** კაცი მუუმდერებდა (ფუტკ.:152); **მინდიელი** კაცი მაინც არ ყოფილიყავ. **მინდიელი** კაცის არ გეიგნებო (ფუტკ.:156); ის **არხველი**, ჯალაბი რომე მოყავდა (იმერხ.:212); იქ ყოფილა **მაჭახლელი**, **ქუაბითაველი** ქორფა მეჰმედი. **მაჭიხლელები**, **იმერხეველები** ჭადსაც ჭამენ (მაჭახ.:367); ახალგაზრდა ელის **ცხემლე** კაცსა (მაჭახ.:368); ამ **ქობულეთელმა** თურქსა არ იცის (მაჭახ.:369).

ერთი თავისებურებაც შეინიშნება აქაურთა მეტყველებაში. კერძოდ, ადამიანთა წარმომავლობის აღმნიშვნელი „–ელ“ ბოლოსართი „ა“ მაწარმოებლის დართვით, აღნიშნავს გათხოვილი ქალის წარმომავლობას. ამ თავისებურებათა მსჯელობისას პროფ. შ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „–ელ“ ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი გათხოვილ ქალთა წარმომავლობის გამოხატვისას დაირთავს „ა“ მაწარმოებელს და წარმოგვიდგება ელა ბოლოსართის სახით. მაგ: ქალი საიდამაც წამოყვანილია,

იქვერი იქნება – დიობნელაი, ბზათელაი, წყალსმერელაი, ქოქლიეთელაი, სვირევენელაი, ივეთელაი, ტიბეთელაი, სხლობნელაი, ჩიხორელაი, აგარელაი...(ფუტკარაძე, 2016: 620).

გათხოვილი ქალის წარმომავლობის აღსანიშნავად საინტერესოდ მიგვაჩნია ზემო აჭარულში შენიშნული ერთი თავისებურება. კერძოდ, ზემო აჭარულში –ურ//–ულ სუფიქსებს ხშირად გამოიყენებენ ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელად. ნ. სურმავა აღნიშნავს, რომ ეს ძირითადად ხდება გათხოვილი ქალის მამისეული მხარის აღსანიშნავად: ბათუმურა, მერისულა... სუფიქსი –ურა//–ულა უნდა ასრულებდეს მასუბსტანტივებელ ფუნქციას და იგი შეიძლება საზღვრულითაც მოგვევლინოს: ზენდიდურ–გელინი, აქუცურ–ნენულა...“ (სურმავა,1983:7). თუმცა როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ასეთი წარმოება მხოლოდ ქალის წარმომავლობაზე კი არა, არამედ საერთოდ პიროვნების წარმომავლობასა და ადგილსამყოფელზეც მიუთითებს. მაგ: ჭვანურა ხოჯა, დანდალურა... (ნიჟარაძე, 1975: 140).

ცნობილია, რომ „–ურ“ ბოლოსართი აღნიშნავს არაადამიანთა სადაურობას. ტაო–კლარჯულ მეტყველებაშიც –ურ არაადამიანთა სადაურობას გამოხატავს. მაგ: შავშური ლობიაი (ლივ.:322); იმის იქითამ გადაჰყვები, სინქოთური წყაროა, ჩიხორული დელე (იმერხ.:227); ზუელანდური ფარა დაჰკარგეს (იმერხ.:229); ვაშლი ბათუმურაიც არი (იმერხ.:246); აქედამ მანატბური გზა მობრუნდება (იმერხ.:194); იხლამური ცაცხვია (იმერხ.:204).

აღსანიშნავია, რომ ტაო–კლარჯულ მეტყველებაში, ადამიანთა წარმომავლობის –ელ სუფიქსი ზოგჯერ გამოდის არაადამიანთა წარმომავლობის გამომხატველი –ურ (–ულ) ბოლოსართის მონაცვლედ. აღნიშნული წარმოება უცხო არაა ქართული ენის სხვა დიალექტებისათვისაც.

დავიმოწმებთ მაგალითებს ტაო–კლარჯული მეტყველებიდან: ნენი ტიბეთური მყავს (იმერხ.:254); კოვლევი კაცი ამბობდა (იმერხ.:258); მე მანატბური ვარ, ჩემი ხალაიც ჩიხვტური იყო (იმერხ.:271); მაჩხატეთური დესტანჯი სულთი შოლტიკვევლებზე ბევრჯელ ამბობს...(იმერხ.:232); ისინი მანატბური ქალები იყვნენ (იმერხ.:245); აგარული ფირუზეი ლამაზი იყო (იმერხ.:208); მანატბურ ხოჯასა, ნიაზ ჯიჯანიძესა გურჯიჯი ვაიზი არაბულ ასოებით აქ დაწერილი...(იმერხ.:236); მანატბური ქალები მოვიდოდნენ (იმერხ.:211); ჯუარებური კაცი, ჩიხვტელი ქალი აგზედამ წევდენ (იმერხ.:209); ბალხური ბეჩიო, არ მევწონავთ (ტაო:174); შავშური გელინი, ზალი არ იციან (ფუტკ.:157).

ამგვარ მონაცვლე წარმოების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ენათმეცნიერთა შეხედულებანი. პროფ. შ. ფუტკარაძე აღნიშნავს: „ქართული დიალექტების მსგავსად, „–ურ“(ულ) გვხვდება ადამიანთა სადაურობის გამოსახატავად: აგარული ფირუზეი ლამაზი იყო; ჩემი ანასი ბიბოი ჩიხვტურია...(ფუტკარაძე, 2016: 152).

პროფ. მამია ფაღავა აღნიშნულ წარმოებაზე მსჯელობისას მიანიშნებს, რომ „შავშურ კილოში –ურ/ულ არ განასხვავებს ვინ და რა ჯგუფის სახელებს, ნორმად ჩაითვლება ამ სუფიქსებით ადამიანთა წარმომავლობა. იქვე იმოწმებს მაგალითებს: გელინი ზიოსურია; უგური იყო; მაჭიხლური ემეი ყავდენ; ჩაქველთური ქალია (ფაღავა...2011:273).

ასევე, პროფ. მამია ფაღავა კლარჯულში განიხილავს წარმომავლობის სახელებს და მიანიშნებს: „–ელ/–ურ აფიქსების განურჩეველი გამოყენება ვინ და რა ჯგუფის სახელებთან ისე ფართოდ გავრცელებული, თვალშისაცემი არ ჩანს, როგორც შავშეთში“(ფაღავა...2016:582).

აგრეთვე, პროფ. მამია ფაღავა –ურ/–ულ სუფიქსზე მსჯელობისას, ერთ გასათვალისწინებელ ნიუანსზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ „–ურ/–ულ სუფიქსი აღნიშნავს კუთვნილებას, რომელიც შეიძლება გადმოიცეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც. მაგ: ხერთვისული იაილა იგივეა, რაც ხერთვისის იაილა, დაბის ზიედან დაბურული იაილაა. ცისიყელი ქვია იმ ყალეს, ჩაქველთური ყალეა. ნაფურნევი აგარული იაილაა“(ფაღავა...2011:273).

სადაურობის სახელები წარმოების თვალსაზრისით ქართული ენის სხვა დიალექტებშიც დიფერენცირებული არ არის – ვინ ჯგუფის სახელები –ურ სუფიქსითაა წარმოდგენილი. მაგალითად, კახურ მეტყველებაში ხშირად შეიმჩნევა –ურ სუფიქსით ნაწარმოები ადამიანთა წარმომავლობის სახელები: **თელაური** ქალი მაიყვანეს რმათ... მოხეურში: **ხეთაგურთ** ქალი... ხევსურულში გვარ სახელთა საწარმოებლად –ურ სუფიქსი გამოიყენება: ჩალხი>>ჩალხური; ჯინჭარა<<ჯინჭარაური//ჯინჭარაული (ჯორბენაძე, 1989: 238; გიგინეიშვილი, 1961: 318).

ივ. ქავთარაძე მოხეურში წარმომავლობა–სადაურობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ სადაურობის სახელთა გამოხატვაში ყურადღებას იქცევს პარალელური ფორმები „ვინ“ და „რა“ კატეგორიის სახელთა ერთნაირი წარმოება –ურ სუფიქსით და მის გვერდით –ელ სუფიქსის ხმარება, რაც სალიტერატურო ენის გავლენის შედეგია. მაგრამ თვით ამ სიტყვებშიც არის – ელ ნახმარი, რომლებსაც სალიტერატურო ქართული –ურ სუფიქსით გამოხატავს: **იქაური** კაცი გაუტაცნია, მე **აქაველი** არ ვვარ...(ქავთარაძე, 1985:67).

ასევე, ივ. ქავთარაძე მოხეურ დიალექტზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ „–ურ/–ულ“ სუფიქსი კუთვნილებას აღნიშნავს, რომელიც გადმოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ქავთარაძე, 1985:93), რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენიშნულია ტაო–კლარჯულშიც.

ქართული ენის კილოთაგან იმერულშიც შენიშნულია მსგავსი შემთხვევები, როცა ადამიანთა მაწარმოებელი ელ სუფიქსი, არაადამიანთა მაწარმოებლის მნიშვნელობით დასტურდება (ძიმიგური, 1973:149; ძოწენიძე 1973:236).

აღსანიშნავია, რომ აჭარულ მეტყველებაშიც, ტაო-კლარჯულის მსგავსად, არაადამიანთა წარმომავლობის –ურ(ულ) სუფიქსი გამოიყენება ადამიანთა წარმომავლობის აღსანიშნავად. მსგავსი წარმოება განსაკუთრებით გამოიყენება ზემო აჭარულ დიალექტში. დავიმოწმებ ჩემ მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან ფორმებს: რაფერაა დედაშენი, ჩემი ჭვანურაია მაი (აჭარ); კი ვიცი მაი ქალი, დანდალურას ვუძახდით (აჭარ); მაგას ორივეი ძალი ჯალაბურაი ყავს (აჭარ).

როგორც არნ. ჩიქობავა მიანიშნებს, გარეკახურშიც დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა –ელ სუფიქსის ადგილს იჭერს –ურ სუფიქსი: დედაკაცი ყვანდა, თოხლიაურული იყო; ქუთათური ვაჭარი. ენათმეცნიერი, ასევე, ყურადღებას ამახვილებს საწინააღმდეგო შემთხვევებზე, როცა ნივთის (არაადამიანთა) სადაურობა –ელ სუფიქსითაა გადმოცემული: ბაღდადელი ღვინო, ონელი შალი...(ჩიქობავა, 1942:138).

–ელ//–ურ სუფიქსთა ფუნქციის საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი საყურადღებო დეტალი. არნ. ჩიქობავა ყურადღებას ამახვილებს ორ შემთხვევაზე, როცა ამგვარ სახელებში ერთი და იგივე ფუძე ორივე –ელ//–ურ სუფიქსს დაირთავს: ა) წიფ–ელ–ი და იმავე მნიშვნელობის სახელი წიფ–ურ–ი(მეგრ). ენათმეცნიერის აზრით, მეგრულში ურ სუფიქსი ბუნებრივია, მაგრამ ქართულში ამგვარი მოვლენა შეუძლებელია გავამართლოთ, თუ მას ადამიანის სადაურობის სუფიქსად დავსახავთ. ბ) წით–ელ–ი და მ–წით–ურ–ი, ძმისწული მწითური... აქ –ურ სუფიქსი ადამიანის კატეგორიის გადმოცემისას გვაქვს. არნ. ჩიქობავას აზრით, „არც –ულ და არც –

ურ არაა სპეციფიკური სუფიქსი ადამიანთა კატეგორიისათვის. სანამ ამ სუფიქსებს დაეკისრებოდა ამ კატეგორიათა აღნიშვნა, პრეფიქსები გამოიყენებოდა ამავე მიზნით. ადამიანთა კატეგორიისთვის მ პრეფიქსი იყო განკუთვნილი, ხოლო ნივთის კატეგორიას ძირითადად ს პრეფიქსი აღნიშნავდა. –ელ და –ურ სუფიქსების გამოყენება ორი განსხვავებული გრამატიკული კლას–კატეგორიის აღსანიშნავად მეორეული მოვლენაა, საწარმოებელ ფუნქციათა დიფერენციაცია შემდეგი დროის ფაქტია“(არნ.ჩიქობავა, 1942:138–142).

მაშასადამე, –ურ/–ულ სუფიქსების დაპირისპირება პირვანდელი არ უნდა იყოს. ამ სუფიქსების პირვანდელი ფუნქცია ზოგადი უნდა ყოფილიყო. როგორც არნ. ჩიქობავა მიიჩნევდა –ურ სუფიქსით სადაურობის აღნიშვნა მეორეული მოვლენაა (ჩიქობავა, 1942:119).

სადაურობის აღსანიშნავად სამხრულ–დასავლურ მეტყველებაში გვხვდება კიდევ ერთი სუფიქსი –არ, რომელიც უძველესი სუფიქსია და შემოგვინახა ზედა მაჭახლურმა მეტყველებამ. თუმცა, ეს სუფიქსი იშვიათად გვხვდება ზედა მაჭახლურში, და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გვაქვს ნაწარმოები: აჰმედაი ჩიქუნარია; ჰაირიეში არიან ჩიქუნარები, ჩხუტუნარები; სიძე ჩხუტუნარი მყავდა.

აღნიშნულ –არ სუფიქსიან წარმოებაზე ამახვილებს ყურადღებას ე. ფუტკარაძე: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სადაურობის აღსანიშნავად ზედა მაჭახლურში –ურ, –ელ სუფიქსის გარდა გვაქვს უძველესი –არ სუფიქსი. ის შემოგვინახა სადაურობის აღმნიშვნელმა ორიოდ ფორმამ: ჩხუტუნარი (ჩხუტუნეთელი), ჩიქუნარი (ჩიქუნეთელი) (ფუტკარაძე, 2019: 126).

–არ სუფიქსი უნდა იყოს ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი უძველესი სუფიქსი, რომელიც თანამედროვე ქართულ და ზანური ენების დიალექტებში იშვიათად შეინიშნება. საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ –არ სუფიქსი, უპირველეს ყოვლისა გვხვდება ისეთ ეთნიკურ ტერმინებში, როგორცაა **ოდშიარი; ოპიზარი; ოლთისარი; სომხითარი; მტბევარი; ხახულარი.**

ა. შანიძე ვარაუდობს რომ, შესაძლებელია ოდიშარი, ოპიზარი, ოლთისარი ჭანურ–მეგრულის ფორმები იყოს, რადგან აქაური მაცხოვრებლები მეგრელები არიან. აქ უნდა სახლებულიყვნენ ჭან–მეგრელთა ტომები. უძველესი –არ სუფიქსი, რომელიც ნელ–ნელა იკარგება უკვე მეგრულშიც, ქართულმა ენამ შემოინახა რამდენიმე სიტყვაში: ოდიშარი, ოპიზარი, ოლთისარი, სომხითარი, მტბევარი, ხახულარი (შანიძე,1973: 366).

მაშასადამე ა. შანიძე მოიშველიებს ჭანურ–მეგრულის მონაცემებს,სადაც აღარ არსებობს განსხვავება ადამიანთა და არაადამიანთა სადაურობის აღსანიშნავად, როგორც ეს ქართულში და ქართული ენის სხვა დიალექტებში გვაქვს.

როგორც არნ.ჩიქობავა აღნიშნავს მეგრულისთვის –ურ//–ულ სუფიქსით ადამიანთა წარმომავლობის აღნიშვნა ბუნებრივი მოვლენაა. ენათმეცნიერი, წარმომავლობის სახელთა სხვა მაწარმოებლებთან ერთად –არ სუფიქსზეც ამახვილებს ყურადღებას და იზიარებს ა. შანიძის აზრს. „მ ტ ბ ე ვ ა რ ი ტ ბეთის ეპისკოპოსის წოდებულებაა. გარკვევას მოითხოვს –არ– სუფიქსი“. ის ა. შანიძის მსგავსად, ქართულის –ელ სუფიქსის ეკვივალენტად და მეგრულიდან მომდინარედ მიიჩნევს: ჭყონდარი>>ჭყონდიდელი; ზუგიდარეფი>>ზუგდიდელები. მაშასადამე, –არ სუფიქსი ჭანურისა და მეგრულის საერთო კუთვნილება ჩანს (ჩიქობავა. 1942:146).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გვხვდება –ელ სუფიქსი, რომელიც ქართული ენის მსგავსად, აქაურთა მეტყველებაშიც ადამიანთა სადაურობის მაჩვენებელია: **ბურჯურელი გოგო; ჩიხვტელი ქალი; ცხემლელი კაცი; მინდიელი კაცი; აგარელი ქალები...**

როგორც აღვნიშნეთ, შეინიშნება ერთი თავისებურება, კერძოდ, –ელ ბოლოსართი „ა“ მაწარმოებლის დართვით აღნიშნავს გათხოვილი ქალის წარმომავლობას: **დიობნელაი, ბზათელაი, ტიბეთელაი...**

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში –ურ//–ულ ბოლოსართიც, ქართული ენის მსგავსად, გამოიყენება არაადამიანთა სადაურობის გამოსახატავად: **შავშური ლობიაი, მანატბური გზა, ჩიხორული ღელე; იხლამური ცაცხვი...**

როგორც საილუსტრაციოდ წარმოდგენილმა მაგალითებმა გვიჩვენა, ადამიანთა წარმომავლობის –ელ სუფიქსი, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, ზოგჯერ გამოდის არაადამიანთა წარმომავლობის –ურ სუფიქსის მონაცვლედ: **ნენეი ტიბეთური, მანატბური ვარ, მანატბური ხოჯა, ხობლევეური კაცი, მაჩხატეთური დესტანჯი, შავშური გელინი...**

და ბოლოს, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, კერძოდ ზედა მაჭახლურში, გვხვდება წარმომავლობის მაწარმოებელი უძველესი სუფიქსი –არ, რომელიც რამდენიმე ფორმას დაუცავს: აჰმედაი **ჩიქუნარია**, სიბე **ჩხუტუნარი** მყავდა, ჰაირიეში მყავდა **ჩიქუნარები...**

1.5. დანიშნულების სახელთა წარმოება

ქართულ ენაში დანიშნულების სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება გვხვდება. პრეფიქსი ყველგან ერთია, მაგრამ განსხვავებას სუფიქსი ქმნის: სა-ე; სა-ო; სა-ურ.

„სა-ე გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას. სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს. ძირითადად ისეთ სახელებს აწარმოებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია. სა-ურ დასტურდება მხოლოდ რამდენიმე ძველ სახელში“ (შანიძე, 1973: 132, 133).

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში დანიშნულების სახელთა საწარმოებლად იგივე პრეფიქს-სუფიქსები გვხვდება.

სა-ე: ჳბოს შევყრით საჯბოვრეში (იმერხ.:197); ეწერსა სანეხვეში გადაჰყრიანო, იტყოდენ (იმერხ.:197); ყიშლას საკრავე მიშენებული აქ, საჯბოვრე, საცხოვრე (იმერხ.:205) შამოით საცხვრეში, გამაჩიეთ კაი ცხუარი რომელცხა არიო (იმერხ.:225); სახლ უკნედამ საშეშე, მე შენზენა გავლემდე... (იმერხ.:226); ექვსი წელიწადია ვიბამ სათვალესა (მაჭახ.:361); სატალახე ზუელი დასახლება ყოფილა (ტაო:174); კაი სადოსტე კაცია (მაჭახ.:335); სათიკნე, სათხე ვიცით, სახფოვრე ვიცით (მაჭახ.:344); საფუგუმეა ეს (იმერხ.:204); აღართი და უხდური ადნია, საოხდურესაც იტყვიან (იმერხ.:197); საფურე ჳბო, საკრე ჳარინა გახდეს. საფურე, საკრე დეიბადაო, ვიტყვით (იმერხ.:245); სახლის უკან საქათმეო...ერთი გოგო ჩავქათმეო (ლივ.:300); ზროხებ სამფხლეში აძებ (ფუტკ.:161); ფქვილი ქი ჩეყრება, იმა საფქვილე ქვია (მაჭახ.:363); ვინცხას საბექმეზეშიც შესულა (იმერხ.:208).

სა-ო: მეეკლანა ჩემი სასიმამრო (ლივ.:325); შალებ საფექროში მოვქსოვ (იმერხ.:293); სიმინდი რომ გეიზრდება, სამწვერალოს მიცემს (მაჭახ.:364);

საფექრო მაქვა (ტაო:181); დედაბრები საფექრო დაზგაზე ქსოვდენ (მაჭახ.:341); საფიოქროში ვქსოვდით (იმერხ.:245); ძველათ ყოფილა აბანო-ავადყოფობისა, საყვავილო (ფუტკ.:146).

სა-ურ: სასამურ ადგილზე იყრებიან, შუანთობანა ისეირონ (იმერხ.:242); საჭამურში შეველი (მაჭახ.:353); საკისური ჩახსნილი ქონდა...ხელით იკეცავდა საკისურსა (ტაო:177).

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში დანიშნულების სახელებს აწარმოებს ასევე „სა-ელა“ პრეფიქს-სუფიქსი, მაგ: საწუელაზე რომ ხმარობენ, იმას ქვია საწუელელაი (იმერხ.:245); სარეკელა ქოქდებოდა (მაჭახ.:350); სამარგველა თობი (ლივ.:306); სიმინდი სანაყელაი (იმერხ.:247); ესაც ასტამი, საგველაია (იმერხ.:204); დედოფალსა ჯელს საფანელაში, ფქვილში ჩააკრევიებენ (იმერხ.:209); სამოვნელაჲ ჩევდოდენ (ფუტკ.:172).

თავსართ-ბოლოსართი „სა-ელა“ ზოგჯერ „ა“- ს გარეშე გვხვდება, მაგ: სარტყელი იყო ქალებისა (იმერხ.:209); იმგუარი დეზგაჰია საქსოვნელი (იმერხ.:219); სასმელი წყლები მეიყვანა (იმერხ.:254); პურ დანაყავ სამირგველში (ლივ.:305); სამირგველში სიმინდ დაფეშვავ (იმერხ.:306); ჯელსაქმარი ვიცით, გუაქ ტარი, საჩეჩელი, კრუთავი (ტაო:180); საფანელი ფქვილი შორვებშინა ჩააყარო (იმერხ.:245).

აქაურთა მეტყველებაში ხშირად ვხვდებით ოდენ „სა“ პრეფიქსით ნაწარმოებ დანიშნულების სახელებს, მაგ: პალუხლიდამ სარწყავი წყალი მეიყვანა (იმერხ.:254); ესაც საკრეფია (იმერხ.:239); შალსა მოთელავდენ ლუკლუკაში, სათელავია ესა (იმერხ.:294); სასრევით მოვლესავთ (ლივ.:323); მაგასა სარაკუნაი უძახიან (ლივ.:312); სარაკუნამ საც უნდა ერაკუნოსო (ტაო:178); ფეხის საფარავი გახდა, პირველ საფაჭი გახდაო (ფუტკ.:162); კბილებ ვაძლევთ სატეხით (ფუტკ.:165); სარძევი მაქინას დავდგმიდით (ფუტკ.:178);

საბლიკავი არი, ბალახი მეიტანონა...სამ ხორუმ დადებ საბელზე (ფუტკ.:146);
კარქ მარცვალ გადავარჩევთ, სათესავ თესლ უძახით(ფუტკ.:161); საწურავში
გაწურავენ (ტაო:180).

აგვარად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში დანიშნულების სახელთა
საწარმოებლად გვხვდება თავსართ-ბოლოსართები, უპირატესად სა-ე, სა-ო და
იშვიათად სა-ურ. სა-ე: სათიკნე, სათხე, საფურე, საწბოვრე... სა-ო: საფექრო,
საყვავილო... სა-ურ: საკისური, საჭამური...

ამასთანავე, აქაურთა მეტყველებაში დანიშნულების სახელებს
აწარმოებს თავსართ-ბოლოსართი სა-ელა: სარეკელა, საწუელელა, საძოვნელა...
ზოგჯერ სა-ელა „ა“-ს გარეშეცაა წარმოდგენილი: სარტყელი, საქსოვნელი,
სასმელი, საჩეჩელი...

არცთუ იშვიათია დანიშნულების სახელთა სა- პრეფიქსიანი წარმოება:
სარწყავი, სათელავი, საფაჭი, სათესავი...

1.6. წინა ვითარების სახელები

წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად ქართულში გამოიყენება
თავსართ-ბოლოსართები: ნა-არ და ნა-ევ. აღნიშნული მაწარმოებლებით
საშუალება გვეძლევა საგანი დავასახელოთ იმის მიხედვით, თუ რას
წარმოადგენდა ის წინათ, ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან
შედარებით (შანიძე, 1973:133)

წინა ვითარების სახელებს ტაო-კლარჯული მეტყველება
ჩვეულებისამებრ აწარმოებს ნა-არ და ნა-ევ მაწარმოებლებით. აქ რაიმე
განსაკუთრებული თავისებურება არ იკვეთება. მაგ: ევიდოდით ნაჯუარევში,

მზე მააჭიხებდა (იმერხ.:230); ასწიეს სახლები, **ნასახლარი** გახდა (იმერხ.:211); თიების სახელებია: **ნაჭალვარი**, **ნაჭიშკრევი**, **ნალობვარი**, **ნადარბაზნევი** (მაჭახ.:336); **ნამეჩხრალი** გახმება მერეგში (მაჭახ.:364); **ნამეჩხრაი** გმევტაიო ვიტყვით (მაჭახ.:334); **ნაფურნევი** ზემოდან ატიანი დუზია (იმერხ.:226); აქ **ნაყორავები** არი...**ნადარბაზნევი**, დიდლეღა ზეით (ფუტკ.:167).

საყურადღებოა, ნა-ალ თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები ქართული ლექსიკური ერთეულები : კუარის **ნაკოდალი** ჩიჩსა ერჩის; შეშის **ნაკოდლებს** კერაზე დავაწყობთ; **ნაკორდალი** ყანა ვარდიყანას მაქვს; მიწავაშლაი **ნაგერალი** იქნება.

ამრიგად, როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულ მეტყველებაში წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება თავსართ-ბოლოსართები: **ნა-არ** და **ნა-ევ**: **ნაჯვარევი**, **ნასახლარი**, **ნაფურნევი**, **ნაჭალვარი**...

1.7. მცენარეთა კრებულის სახელები

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში მოგვეპოვება **-ნარ** სუფიქსი, რომელიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე.

საკმაოდ ხშირად გამოიყენება **-ნარ** სუფიქსი ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, განსაკუთრებით ტაოურში. მაგ: **ფიშნარი** ხევი გამოჩნდება (ტაო:174); **მუხნარი** (მაჭახ.:336); კონკალეთი ზეიდან **ნამცნარი**, ქვეშ კაპანაჲ, მოფენილი ძერია (ფუტკ.:146); **წიფნარი** ტყეა (ფუტკ.:173).

აქაურთა მეტყველებაში, განსაკუთრებით ტაოურში, –ნარ სუფიქსს მცენარეთა კრებულის გამოხატვის გარდა, სხვა ფუნქციაც აკისრია, კერძოდ, გამოხატავს მრავლობითობას. მაგ: ქართული **კარნალი** (კარები) გეელო, მოხუალთ–მიხუალთ, ზოვლი დევეჩვიენით ამას (ტაო:170); თოვლსა **რუენალი** (რუები) უუესია მიწით (ტაო:176); ზემოთკე **გზეენარი** (გზეები) ხარახურაია, გონჯია, ცუდი (ტაო:170); მადლობა ზმაო, ჩუენი **კლდეენარი** (კლდეები) დუნია რომე ამსოდ გიყუარან (ტაო:170); მაშინ ეს **გზეენარი** არ იყო (ტაო:173); **გზეენარი** ისე მოშლილი მგონებოდა, არ წომოვდოდით (ტაო:172); ამ **გზეენარმა** ამართვა სული, გაჩენილი დღე ამ **გზეენარზე** ვიარები (ტაო:172); წუხელი ითოვლა ფენა, გაათეთრა **ხეენარი** (ტაო:171); პარკევისკე ჩამოსლიხან ზემოდამ ქუები აგორდა, **კილდეენარი** (ტაო:174).

როგორც შესაბამის ლიტერატურაშია მითითებული “ტაოურში არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება –ნარ სუფიქსით... –ნარ სუფიქსით მრავლობითის გამოხატვა სხვა დიალექტებისათვის უცხოა“ (ფუტკარაძე, 2016: 303; ფაღავა...2020: 719).

ამრიგად, –ნარ სუფიქსი, როგორც ქართულში, ასევე ტაო–კლარჯულ მეტყველებაშიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე მაგ: **ფიშნარი**; **ნაძენარი**. მაგრამ სახასიათო ის არის, რომ –ნარ სუფიქსს დაეკისრა დამატებითი ფუნქცია, კერძოდ, მრავლობითობის გამოხატვა. აღნიშნული ფუნქციით ამ სუფიქსის გამოყენების არე საკმაოდ ხშირია: **კარნალი(კარები)**, **რუენალი(რუები)**, **გზეენარი(გზეები)**, **ხეენარი(ხეები)**, **კილდეენარი(კლდეები)**...

1.8. კნინობითი სახელები

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში კნინობითი სახელები იშვიათად გვხვდება. კნინობითი სახელების საწარმოებლად ძირითადად გამოიყენებენ –ა, –აკ, –უკ, –უნ, –ულა მაწარმოებლებს. მაგ: კარდალა არი სოფელში, ქუაბითანაი, ტარიანი (იმერხ.:204); ფაჩხა სოფელი ხომ იცი?! იქ ერთი კუკულია იყო (იმერხ.:205); კასრის სულ დიდი არის, ქილაკაი (იმერხ.:214); ეს წანწალაკია, ზუელი ქვის მოკაკული ჯიდი (იმერხ.:192); მალაქი გურჯიჯა კოზაკი ყოფილა (მაჭახ.:341); ეს ქვის წანწალაკი რომე კეთდებოდა, ქუეშედან აირი წანწალაკი იყო ხისა (მაჭახ.:364); დერგებსაც ვდგემდი და დერგულასაც; წანწალაკი გამეიარს ჰელბეთ (იმერხ.:198); შიგან აწყვია ქილაკები, კასრები, კროჭები (იმერხ.:265); ამასა ლულუკაი ქვია, წყალი გამოდის აქედამ, წყლის გამოსასვლელია (იმერხ.:201); ეს წინდები ჩემ იადიგრათ დაჰკიდე...ესენიც თათუნებია...(იმერხ.:203).

–ა სუფიქსი დაერთვის საკუთარ სახელებსაც: გულთენაი, ისმაილაი ფენა ავათ არი (იმერხ.:203); შაქირაი მემეწია, რაი გაქო, მკითხა (იმერხ.:204); ფათმაი მოსწველს ზროხებს (იმერხ.:205).

აღსანიშნავია, რომ აჭარულის მსგავსად სამხრულ-დასავლურ მეტყველებაშიც ერთმანეთს უპირისპირდება სახელთა პირველადი და კნინობითის ფორმები. მოსაუბრე თუ პირველად ფორმებს იყენებს, ეს იმაზე მიგვითითებს, რომ პიროვნება მოსარიდებელია, ასაკობრივად ან სოციალურად მაღლა მდგომია მოსაუბრესთან შედარებით (ფუტკარაძე, 2016: 616). მაგ: ისკენდერ ალა იყო ურეეში, გულებელი; ზამანუნდა ისკენდერაი ჩუენსა მოიდა , ვიცნობდი (იმერხ.:211).

–ა სუფიქსი ყოველთვის არ გამოხატავს კნინობითობას. იგი ხშირად გამოყენებულია სხვადასხვა მცენარეთა და სახელთა საწარმოებლად. –ა

სუფიქსით გამოიხატება სხვადასხვა მცენარეების ჯიშების აღმნიშვნელი სახელები. მაგ: ყურძნის სოიადებია: **კარულა** ცხენი, ძუძუ, **ადესად** (ტაო:171); მაჭახელში სიმინდ დავთესავთ, სახელები: **წვიტამ** ზეგანში იქნება. თეთრი **ალთუნად** ჩუენთან არი, **ჭრელი** გარეველია ზოგჯერ (მაჭახ.:334); ვაშლის ჯიშებია: **მურღულად**, **წვიტამ...სხლისა**: **ხეჭეჭურად**, **ბათუმურად**, **სასელად**, **გონივურად**, **კოდად**, **სხალთ თაფლად** (ფუტკ.:165).

–ა სუფიქსი დაერთვის ბალახის სახეობათა აღმნიშვნელ სახელებსაც: ბალახის სახელებია: **ბალაძარღვად**, **სამყურად**, **წყერიფებად**, **ქათამნაცარად**, **თიფხალად** (ფუტკ.:175). ყვავილები: **კიტრაფურცელად** არი, **კოკომჭავად**, **შხამად...**(ფუტკ.:165).

ა მაწარმოებელი დასტურდება ცხოველთა სახელებთანაც: ძროხებ დაუძახებთ: **აპრილად**, **მაისად**, **ჩიჩეგად**, **შურღულად**, **სანათად**, **ვარდნათელად**, **დედიფერად**, **წაბლად**, **მასკლიად**(ფუტკ.:154).

ხშირია –ა სუფიქსის გამოყენება ქსოვის „უზორების“ სახელთა აღსანიშნავად: ვქსოვ წინდი ჩხირებით, კემსაით, უზორები: **ჭუჭნიად**, **გრებილად**, **ჩიტითვალად**, **ნაძვად** (ფუტკ.:174). **კატიფეკაი** წინდებზე ვიცით. **ჭრელების სახელებია**: **ნუსხურაი**, **ჩიტითუალაი**, **ბობლიზუალაი**, **თაფანალაჯა**, **ჯინჭუელაი** (იმერხ.:202).

მცენარეთა სახელებთან წარმოდგენილი –ა სუფიქსი ხშირად მიგვითითებს მსგავსება–შედარებაზე და ქონების შინაარსის გამომხატველია. მაგ: **სამყურაი**, **ვირიგუერდაი**, **სამტატაი**, **თივაქერაი**, **ბებერაი**, **გვერდიწითელაი**, **კაცითავაი**, **სასელაი**, **ჭრელი...**

ტაო–კლარჯულ მეტყველებაში ალერსის გამომხატველია შემდეგი შინაარსის სიტყვები: ჩემო **ნენულავ**, ჩემო **ნენულავ**, ჩემო **ბაბულავ**–მუნდა

ვუტირო (ფუტკ.:155); ვაიმე ჩემო **ნენულავ**; არ მახსოვს **ნენული** (ფუტკ.:161); დევ, დევ **დედლუცავ** (მაჭ.:362).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში კნინობითი სახელების საწარმოებლად ძირითადად გამოიყენებენ –ა, –აკ, –უკ, –უნ, –ულა მწარმოებლები: **კარდალა; ქილაკაი; წანწალაკი; ლულუკაი...**

–ა სუფიქსი დაერვთის საკუთარ სახელებსაც: **შაქირაი; ისმალაი; ისკენდერაი...**

–ა სუფიქსი ყოველთვის არ გამოხატავს კნინობითობას. იგი ხშირად დაერთვის სხვადასხვა მცენარეთა სახელებს: **ადესამ, სასელამ, სამყურამ, სანათამ...**

ხშირია ხეხილის ჯიშების აღმნიშვნელ სახელებთანაც: **მურლულამ, ხეჭეჭურამ, სასელამ, სხალთაფლამ...**

გვხვდება ბალახის სახეობათა აღმნიშვნელ სიტყვებთან: **სამყურამ, წყეროფხამ, შხამამ, ქათამნაცარამ...**

ხშირია –ა სუფიქსის გამოყენება ცხოველთა სახელებთან: **ჩიჩეგამ, ვარდნათელამ, მაისამ, წაბლამ, დედიფერამ...**

ტაო-კლარჯულ მეტყველებას შემოუნახავს კნინობით-ალერსობითი შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებიც: **ნენულა, ბაბულა...**

1.9. გეოგრაფიულ სახელთა წარმოება

ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონის, ასევე ტაო-კლარჯეთის გეოგრაფიული სახელებიც და ტოპონიმაც ძალიან საინტერესო და

მრავალფეროვანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ენათმეცნიერული თვალსაზრისით ცალკე კვლევის საგანია, თუმცა ორიოდ სიტყვით მიმოვიხილავთ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებას.

ტაო-კლარჯულ მეტყველებში ხშირად გამოიყენება „ეთ“ ბოლოსართი, სხვადასხვა დასახლების აღსანიშნავად. ასევე, ის ხშირად უკავშირდება გვარის სახელს, რომელიც ამ პუნქტში სახლობს ან სახლებულა. ასეთი სახელები ხშირ შემთხვევაში მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი: **ჯაფარეთიდან** დასახლებული ყოფილა (ჯაფარიძეებიდან); **გოგიეთ** ზმა ჰყოლია(გოგიძეები); **ქავთარეთი**; **საფუტკრეთი**; **მალაყმეთი**; **გორგამეთი**; **გორგვიეთი**; **კიბორეთი**; **ვაციეთი**; **კვატალეთი**; **სკილინჯეთი**; **კინვცხურეთი**; **არჰავეთი**; **მურკივეთი**; **ქოქლიეთი**; **ლომიკეთი**; **გოგლიეთი**; **დადიანეთი**; **დიაკვნეთი**; **ვეჟნიეთი**; **ობოლუმელეთი**; **კაბარჯიეთი**; **ღორეფეთი**,**ცივნარეთი**, **ზეკალეთი**, **ოსანეთი**, **გუჯარეთი**,**კორტანეთი**, **ირემეთი...**

როგორც ვიცით,რაჭულის ერთ-ერთ კილოკავში, კერძოდ გლოლურში დასტურდება –ეთ სუფიქსით გვარ-ტომობის სახელთა წარმოება, რომელსაც სახელობითში დაერთვის –ნ: ბელაეთნი „ბელაშვილები“, ბუბაეთნი „ბუბაშვილები“, ბიძიეთნი „ბიძიშვილები“. ანალოგიურად იწარმოება გვარის განაყოფთა სახელებიც, მაგალითად ბიძაშვილები იყოფა შემდეგ შტოგვარებად: ბერიკეთნი, სვანაეთნი, კვესანეთნი (ჯორბენაძე, 1989:417).

ასევე, კუთვნილების გამოსახატავად გვხვდება ოდენ –ეთ სუფიქსიც: გორგვიეთ ვაჟაები; გოგიჩეთ ამბავი (ჯორბენაძე, 1989:418).

მოიპვება რიგი გეოგრაფიული სახელები, რომლებსაც საფუძვლათ უდევს ამა თუ იმ საგნის სახელი: **ქუატაბლა**; **ქვაბითავი**; **მტრედავი**, **საქსელავ**, **გუმისკარ**, **ბარჯგინავი**; **დელიკეთი**.

ხშირია შემთხვევები, როცა გეოგრაფიული სახელი კომპოზიტური წარმოებისაა, ასეთ შემთხვევაში კომპონენტ სიტყვად გვხვდება ყანა, ღელე, ხევი, ქედი: **ხეჩაყანა, ურწყლოღელე, სახვეტიხევი, წითელკილდე, ვაშლიქედი, მანატბა, ნაძვიქედი, ვაკესოფელი...**

თუმცა კომპოზიტური წარმოების გეოგრაფიულ სახელებში კომპონენტ სიტყვად ხშირად გამოიყენება „ვევი“ და „კარი“: **ფიჩნარვევი, ვეჟანვევი, ელიავევი, ბოსტანვევი, ჯარისვევი, სამოთვევი, შოლტისვევი, წითელხევი, დევსეკარა, ჭელენკარა, ცერეკარა, შაბელენკარი, გოდლეკარი, გოდრიკარი, კედლიანკარი, ობლეკარი...**

დასახლებული პუნქტების ერთი ჯგუფი ისეთი შინაარსისაა, რომელიც აღნიშნავს კონკრეტული ადგილის ადრინდელ მდგომარეობას: **ნაპურვალი; ნაჯვარევი; ნაჩადრევი; ნანავენი; ნანაფენავი; ნაქალაქვარი; ნაკალოები; ნაფიცრები; ნაჭვები.**

ამგვარად, გეოგრაფიულ სახელთა გავრცელებული ფორმანტია –ეთ ბოლოსართი: **მაღაყმეთი, ვაციეთი, საფუტკრეთი, ქოქლიეთი, ოსანეთი...** თანაც აღნიშნული ტიპის გეოგრაფიულ სახელებში –ეთ ბოლოსართი დაერთვის გვარის სახელებს, რომლებიც ამ პუნქტში სახლობს, ან სახლებულა.

გავრცელებულია კომპოზიტური წარმოების გეოგრაფიული სახელები, ასეთ შემთხვევაში კომპონენტ სიტყვებად გვხვდება **ყანა, ღელე, ქედი: ხეჩაყანა, ნაძვიქედი, ვაშლიქედი, ურწყლოღელე...** უფრო გავრცელებულია კომპონენტ სიტყვად **ვევი და კარი: შოლტივევი, სამოთვევი, ელიავევი, ვეჟანვევი, დევსეკარა, ჭელენკარა, გოდლეკარი, ობლეკარი...**

გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი კი, ადგილის ადრინდელი მდგომარეობის გამომხატველია: **ნაჯვარევი, ნაკალოები, ნაპურვალი, ნაფიცრები...**

1.10. ზედსართავ სახელთა წარმოება

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოება. ხარისხი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც გვიჩვენებს საგნის ნიშანს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ქართულში ზედსართავი სახელი ხარისხის სამ ფორმას განასხვავებს: დადებითს, უფროობითსა და ოდნაობითს.

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, ზედსართავ სახელთა წარმოება ქართული სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. აქ იშვიათად გვხვდება ქართული მაწარმოებელებით გაფორმებული ხარისხის ფორმები, მხოლოდ ერთეული შემთხვევაა. ქილიავი არის ყუთელი, შავი, **მოწითლო** ფერის, სამ სომ, იმა გაჰყიდვენ (ტაო.:180); აადულებ შერბეთ, **მოსიქლო** შერბეთ მასხამ(ტაო.:180).

ძირითადად ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმები აღწერიტად იწარმოება. აქაურთა მეტყველებაში უფროობითი ხარისხის საწარმოებლად გამოიყენება თურქულ-არაბული ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები: **ენ, ფენა, დაჰა**. დამხმარე სიტყვები დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხო ენიდან შემოსულ ზედსართავებს: კარჩხალის წყალი **ფენა თეთრი** (უთეთრესი) დის, თლა თეთრი (იმერხ.:192); იმ სოფელში გურჯიჯას **ფენა ლამაზათ** (ულამაზესად) ლაპარაკობენ (იმერხ.:194); **დაჰა ძველ** (უძველეს) დროში ორდაში ყოფილან ნასყიდაძიები (ლივ.:296); ახლა სოფელში გურჯი **დაჰა ცოტაია** (ძალიან ცოტაა) (ლივ.:296); თეელინა მოკვდნეთ, მარა ზამთარში სიკდილი **ფენა გონჯია** (ძალიან ცუდია)– (იმერხ.:195); ეს ალთუნი ახლა **ფენა ძვირი** (ძალიან ძვირი) არი (იმერხ.:229); ერთ ნახევარ თვეს უკან **დაჰა ლამაზი** (ულამაზესი) ჰავა იქნება (იმერხ.:240); იქიდან მოტანილი შექერი **დაჰა კაი** (ძალიან კარგი) იყო (იმერხ.:200); ჩუენზე **დაჰა ახლოა** (ძალიან ახლოა) სვირევანი (იმერხ.:196); მაწვნი ძალი **დაჰა**

გემრიელია (ძალიან გემრიელია, ტაო.:180); ფენა კაი დასანახველია (ტაო.:172);
ენ ლამაზი სიტყვები უთხრა (მაჭახ); ენ დიდი მე ვარ (იმერხ.:243).

აღსანიშნავია, რომ ზედსართავი სახელი „პატარა“ თითქმის არ გამოიყენება. მის მაგივრად ტაო-კლარჯულ დიალექტებში გვხვდება „პატინა, პატიტვანი“ ფორმები: მოპატინა ბიჭი ბურსას მყავს(ლივ.:324); მასზე პატიტვანებთ, წურილთ, არ იციან გურჯიჯა (ტაო.:174); ჩვენ პატიტვანი ღარჭები ვიყავით (ტაო.:173).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზედსართავ სახელთა ხარისხის საწარმოებლად იშვიათად გვხვდება ქართული მაწარმოებლები: მოწითლო, მოსიქლო.

ძირითადად ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა აღწერითი წარმოება ბატონობს. აქაურთა მეტყველებაში ხარისხის ფორმებს თურქულ-არაბული ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები ენ, ფენა, დაჰა აწარმოებს: დაჰა გემრიელი; ფენა გონჯია; ენ ლამაზი; ფენა თეთრი...

1.11. რიცხვითი სახელის წარმოება

აღსანიშნავია, რომ ტაო-კლარჯულს შემოუნახავს ძველი ქართულისებური თვლის სისტემა. აქ ძველი ქართულის მსგავსად „და“ კავშირი ჩვეულებრივ იხმარება არამართო ოცეულებთან, არამედ ასის შემდეგ და ამასთან ერთად თერთმეტიდან ოცამდე თვლის სისტემაშიც გამოიყენება. მაგ: ათერთმეტი თანე იქნება მაინც... ათერთმეტი, ათღაორი, ათდასამი, ათღაოთხი, ათდახუთი, ათდაექსი, ოცი, ოზღაერთი, ოზღაორი... ასღაერთი, ასღაორი, ასდახუთი...(ტაო.:171); ჩუენ „ბაგნები“ ვიტყვით ათღაორი წლისა რომ

იქნება (ტაო:174); **ასდაოცი** წელიწადის წინწინდელ ენას ლაპარაკობს ეს კაციო (მაჭახ.:361); **ათდაერთი** ქილო იყო ქლიავი (ტაო:179); **ასდაოცი** წლისა, ჩუენი ენა და ის მაქინაი ერთია (მაჭახ.:362). როგორც ვხედავთ, აქაურთა მეტყველებაში, თვლის სისტემას **არქაული** იერი დაჰკრავს.

პროფ. მამია ფაღავას აზრით, ოცობითი თვლა საკმაოდ გავრცელებულია ტაოურში. მისთ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, აქ ოცობითი ითვლიან არამართო ოციდან ასამდე, არამედ ასსაც და ასზე ზევით ოცეულების შემცველსა და ორასს. მაგ: ძველად ჩემი მამას დედეი ამნაირ ითლიდეს: ათიოცი, **ოროცი... შვიდოცი, რვაოცი, ათიოცი** ვიტყვით, ჩვენი დათლა ძველია, გურჯი. მისივე დასკვნით, „ ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიცხვით სახელთა წარმოების ეს სისტემა, ოდინდელი ოცობითი თვლის გადმონაშთია(ფაღავა...2020:724).

ასევე, ქართულის ოცობითი თვლის სისტემაზე ქართველური ენების მონაცემებთან შედარების საფუძველზე საუბრობდა ვ. თოფურია (თოფურია,1926: 123).

ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ მთის დიალექტებში უპირატესად მთიულურსა და მოხეურში თვლის სისტემა, ასის შემდეგ ოცობითია: **ხუთოცი, ექვსოცი...**(ჯორბენაძე, 1989: 273).

ამდენად, თვლის სისტემით ტაო-კლარჯული მეტყველება, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების მსგავსად, არქაულ იერს ატარებს.

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში **რიგობითი** რიცხვითი სახელების საწარმოებლად, რიცხვითი სახელის ფუძე, ქართულის მსგავსად, დაირთავს **მე-ე** პრეფიქს-სუფიქსს. მაგ: ერთი ართვინ დარჩენილა, **მერვე** ჰაირიეს

მოსულა (მაჭახ.:346); პირველაი,ერთ დღეი დეიძინვის...მესამე ძილზე დაწვება...მემრენ მეოთხე ძილზე დაწვება (მაჭახ.:341).

როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულ მეტყველებაშიც, წილობით სახელთა წარმოებისათვის რიგობით რიცხვით სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული. მაგ: მეერთედ გავფაჭავთ (ფუტკ.:166); მეორედი საფაჭი გახდაო, გავამეჩხრავთ (ფუტკ.:162). საყურადღებოა ის, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში სისტემებრ პირველს ენაცვლება მეერთე ფორმა.

ასევე, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში რიცხვით სახელებთან ხშირად გამოიყენება სპარსული წარმოშობის სიტყვა „tane“, რომელიც „ცალი, ცალკეული რამის“ მნიშვნელობის მატარებელია. მაგ: ათი თანე ამხანაგი მყავს იქა (მაჭახ.:339); ოზდაათი თანე ქართველებურს მიგავს მათი ნათქუამი (ტაო.:173); ისტარსა ასი თანე ფთა იყოს (იმერხ.:201); ორი თანე კარი უკეთდება (იმერხ.:203); კანჯასა აქ ათი-თორმეტი თანე თითიები, ორი თანე კლავები, რომ ჯარ ოუბას ზენჯირით (იმერხ.:203); წრევლაც ცხრა თანე ღორი გავსქარით (იმერხ.:205); წერეულა ორი თანე გურჯი მოიდეს (ტაო.:177).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებას შემოუნახავს ძველი ქართულისებური თვლის სისტემა. აქაურთა მეტყველებაში, თვლის სისტემას არქაული იერი დაჰკრავს: ათერთმეტი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი... სპორადულად ოცობითი თვლის სისტემაც იჩენს თავს: ორ ოცი, შვიდოცი... ამ მიმართებით, ტაო-კლარჯული მეტყველება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების თავისებურებას იმეორებს.

რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახატად, რიცხვითი სახელის ფუძე, ქართულის მსგავსად დაირთავს მე-ე პრეფიქს-სუფიქსს: მერევე, მესამე...

როგორც ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულში წილობით სახელთა წარმოებისათვის რიგობით რიცხვით სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული: **მეერთედი, მეორედი**. მნიშვნელოვანია ის, რომ აქ პირველს ენაცვლება **მეერთე** ფორმა.

ტაო კლარჯულ მეტყველებაში რიცხვით სახელებთან ხშირად გამოიყენება სპარსული წარმოშობის სიტყვა „**tane**“, რომელიც „**ცალი, ცალკეული რამის**“ მნიშვნელობით გამოიყენება: **ათი თანე, ორი თანე, ასი თანე...**

II თავი

2.1. უცხო აფიქსიანი სახელები ტაო-კლარჯულში

როგორც ვიცით, ტაო-კლარჯული მეტყველება მოწყვეტილია მასაზრდოებელ წყაროს – ქართულ სალიტერატურო ენას და უცხო ენობრივ გარემოშია მოგვეული. შესაბამისად, ბუნებრივია ენობრივი კონტაქტებიც. ამიტომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზოგჯერ დასტურდება უცხო აფიქსიანი წარმოების სიტყვები. უცხო აფიქსები ძირითადად დაერთვის თურქულიდან შემოსულ დანიშნულების, ხელობის, ნათესაობისა და სხვა შინაარსის მქონე სიტყვებს. ძირითად გამოიყენება: **cu(ცუ); ci; ce; ce; lik(lík)** აფიქსები. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითებს: კიდო ამათ სოფელში იყო ერთი **დესტანჯი** კაცი (იმერხ.:264); დედაც **გურჯი** მყავდენ და მამაც, იმითვინ ვიცი **გურჯიჯე**, მექეთებში წაველ, **თურქა** არ ვიცოდი, მარტო **გურჯიჯეს** ვლაპარაკობდომ (ტაო:178); ვინცხაი ვალას აჯდის, იმას **სადლუჯი** ქვია (იმერხ.:209); ნაწუელ აადულებ, იმაში ფირინჯინა ჩააყარო, იქნება **სუთლაჯი** (ტაო:180); **აქორდიონჯი**, დაუკარი ერთი ხორომი (იმერხ.:289); **ინგლიჯა** არი ოქულებში და **გურჯიჯა** არა (ლივ.:297); თქვენკე ჩუენი **არაბაჯიები** მიდიან (ლივ.:318); რომელი **არაბჩა** იყო, იმა ზოლ ქიმეთი ქონდა აქევრობაში (იმერხ.:236); აქაც შამეიდეს შეჰერული **გელინული** (იმერხ.:219); ზურნას ვუკრავ, **ჩალღჯი** ვარი (იმერხ.:195); ფინთი **ანალული** მეიყვანა (იმერხ.:219); **ამერიკანლი** თურისთები მოვდენ; აკვანში ქართულ იწავლიდენ წინწინ, ახლა აკვანშიც **თურქჩას** აწავლიან, ოქულში არ შუუჭირდენო **თურქჩაო**, იმითვინ...ჭილათში ღარჭებმა ზოგთ იციან **გურჯიჯა** (ტაო:171); დედოფალ სხვანაირი ურუბა ეცვა, ძველებური ურუბა, ძველებური **გელინული** (ფუტკ.:145); **ხიზმეთჯი** ყავან (ფუტკ.).

ამრიგად, თურქული ენის გარემოცვაში მოხვედრილ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზოგჯერ თავს იჩენს უცხო აფიქსიანი წარმოების სიტყვები: **დესტანჯი, აქორდიონჯი, არაბჩა, თურქჩა...**

2.2. უცხო ძირიანი სახელები ქართული მაწარმოებლებით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ძალიან ცოტაა ისეთი ქართული სიტყვა-ძირები, რომლებიც ნაწარმოებია თურქული აფიქსებით, მაგრამ სახასიათოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ აქაურთა მეტყველებაში ქართული აფიქსებითაა ნაწარმოები სიტყვები, რომელთა ძირი უცხოა.

–**იან** სუფიქსი ერთ-ერთი გავრცელებული ფორმანტია, რომელიც დაერთვის თურქულ სიტყვებს და ქართულ სალიტერატურო ენაში ცნობილ შინაარს სძენს სიტყვას:

ფრინჯიან, ფათათესიან ხორც გავაკეთავთ (ლივ.:319);

ფათათესიანი – „ფათათეს“, ძირი თურქული (თ.patates) – კართოფილი.

თხილი იქნება **თხელყაბულიანი** (ლივ.:330);

თხელყაბულიანი – „ყაბულ“, ძირი თურქული (თ.kabuk) – ტყავი, ქერქი.

შერბეთიანსაც კაკალ დააყრი, დანაყულ (ლივ.:297);

შერბეთიანი – „შერბეთ“ არაბული წარმოშობის ძირი (არ.şerbet) – შარბათი, ზოგიერთი ნივთიერების ხსნარი.

ვინცხათვინ **ალთუნიანი** ბებექი მუყუყიდავს (იმერხ.:229);

ალთუნიანი – „ალთუნ“, ძირი თურქული (თ.altin) – ოქრო.

რამაზნიანი ვარ (იმერხ.: 287);

რამაზნიანი – „რამაზან“, ძირი არაბული (არ.ramazan) – მთვარის წელიწადის მეცხრე თვე, როცა მუსლიმანები მარხულობენ, მარხული, მარხვის დამჭერი.

აზბიშიე ჰერსიანი იყო (იმერხ.:219);

ჰერსიანი – „ჰერს“ არაბული სიტყვაა (არ.hars) – ბრაზი, რისხვა, ბრაზიანი, მრისხანე.

საკმაოდ ხშირად გამოიყენება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი – ობა სუფიქსი:

თემბოლბა არის ხალხისა (ლივ.:306);

თემბოლბა – „თემბელ“ ძირი თურქული (თ.tembel) – სიზარმაცე, უსაქმური.

გენჯობაში ავჯობას ვიქნევდით (ლივ.:306); ადრე მომკდარა **გენჯობაში** (ლივ.:307);

გენჯობა – „გენჯ“, ძირი თურქული (თ.genc) – ახალგაზრდა, ახალგაზრდობა.

ავჯობა – „ავჯ“ ძირი თურქული (თ.avci) – მონადირე.

დოსტობას ვიზამთ (მაჭახ.:335);

დოსტობას – „დოსტ“ ძირი სპარსული (სპ.dost) – მეგობარი, საყვარელი, მოყვარე, მომხრე.

ლულ ხარბობა იყო (მაჭახ.:342);

ხარბობა – „ხარბ“ ძირი არაბული (არ. harb) – ომი, ბრძოლა.

ხარმანობა თხუთმეტ დღეს გაწევს (მაჭახ.:344); ღმერთმა ბევრი ხარმანობა მოგვასწროს (იმერხ.:270);

ხარმანობა – „ხარმან“ ძირი სპარსული (სპ. harman) – კალოობა, პურის ლეწვა.

რუსის ჰიზმეთჯობა რაში გამოადგება? (მაჭახ.:362);

ჰიზმეთჯობა – „ჰიზმეთ“, ძირი თურქული (თ.hizmetci) – მსახური, მოსამსახურე

სერბესობას რა ჯობს (იმერხ.:195);

სერბესობას – „სერბეს“, ძირი თურქული (თ.serbest), თავისუფლება, დამოუკიდებლობა.

ცამეტ წელიწად სოფლის მუხტრობა ვეენ (იმერხ.:270);

მუხტრობა – „მუხტარ“, ძირი არაბული (არ.muhtar) – მამასახლისი მამასახლისობა.

ჩვენ ოჯახსა ჯუმბუშობა ძალიან მიყუარან (ლივ.:314);

ჯუმბუშობა – „ჯუმბუშ“, ძირი სპარსული (სპ.cumbuş) – გართობა, მხიარულობა.

ზაფხულ–ზაფხულ დადალაჯობა ვიჯებით (ლივ.:315);

დადალაჯობა – „დადალაჯ“ ძირი თურქული (თ.yaylaci) – იაილაში მცხოვრები, პირუტყვის პატრონი,მემთეური.

წინწინ ფუხრობა იყო (ლივ.:320);

ფუხრობა – „ფუხარა“, ძირი არაბული (არ. fukara) – ღარიბი, ღარიბობა.

ადრე ზროხის **თუჯრობა** ვიჯებოდი (ლივ.:330);

თუჯრობა – „თუჯარ“, ძირი თურქული (თ.tuccar) – ვაჭარი, ვაჭრობა.

სირყეთობის ამბავები (მაჭახ.:347);

სირყეთობა – „სირყეთ“, ძირი არაბული (არ.sirkat) – ქურდობა, პარვა

დელიობის რაპორი (ლივ.:327);

დელიობა – „დელ“, ძირი თურქული (თ.deli) – სულელი, არანორმალური, გიჟი.

ძალი მომყავს, **დუგუნობა** გუაქ (ლივ.:310);

დუგუნობა – „დუგუნ“, ძირი თურქული (თ.dugun), ქორწილი.

თერბიელობა იყო ამ დროს (ფუტკ.:177);

თერბიელობა – „თერბიე“, ძირი არაბული (არ. terbiye) – ახალგაზრდობა, სწავლება, მოთვინიერება, მომზადება.

ჩემი შვილი იჯებნება სეჩიმით **ბაშკანობა** (ლივ.:309);

ბაშკანობა – „ბაშკან“, ძირი თურქული (თ.başkan) – უფროსი, უფროსობა.

ბრინჯ გადააყრიდენ დედოფალ, რომ **ზენგინობა** იყოსო, **ბერეკეთობა** იყოსო (ფუტკ.:146);

ბერეკეთობა – „ბერეკეთ“, ძირი არაბული (არ.bereket) – სიკეთე, სიუხვე, უხვი მოსავალი.

ზენგინობა – „ზენგინ“, ძირი თურქული (თ.zengin) – მდიდარი, უხვი, ბარაქიანი.

ნიშანლობა იცოდენ (ფუტკ.:150);

ნიშანლობა – „ნიშან“, ძირი სპარსული (სპ.nişan) – ვაჟის მიერ ქალიშვილისათვის მიცემული ნივთი, რომელიც ითვლება მომავალი ცოლქმრობის, სიმბოლოდ.

ილბაშობაზე წინწინ მეიცრევდენ კვერცხი (ფუტკ).

ილბაშობაზე – „ილბაშ“, ძირი თურქული (თ.ilbash) – ახალწლობაზე.

–იან და –ობა სუფიქსის გარდა, ტაო–კლარჯულ მეტყველებაში სხვა პრეფიქს–სუფიქსებიც, რომლებიც დაერთვის უცხო სიტყვა–ძირებს.

სადოსტე კაცია (მაჭახ.:335);

სადოსტე – „დოსტ“, ძირი სპარსული (სპ.dost) – მეგობარი, საყვარელი, მოყვარე.

შენი დუნგური ვიყნე, რა იქნება? (იმერხ.:209);

დუნგური– „დუნგურ“, ძირი თურქული – მოყვარე.

მენაც სამუსაფიროთ ვარ წასული მეთქი (იმერხ.:271);

სამუსაფიროთ – „მუსაფირ“, ძირი არაბული(არ.misafir) – სტუმარი, სასტუმროდ.

საგუგუმეა ეს (იმერხ.:204);

საგუგუმეა – „გუგუმ“, ძირი თურქული (თ.gũgũm) – სპილენძის წყლის ჭურჭელი.

კამპური ბერი ყოფილა (ტაო:174);

კამპური – „კამპურ“, ძირი თურქული (თ.kambur) – კუზი.

ტყეს დიდი ყიიმეთი აქ, სიზენგინეა (იმერხ.:266);

სიზენგინეა – „ზენგინ“, ძირი თურქული (თ.zengin) – მდიდარი.

არავის დააყენებს მოსაფირათ (ტაო:172);

მოსაფირათ – „მოსაფირ“, ძირი არაბული (არ.misafir) – სტუმარი.

აღართი და უხდური ადნია, საოხდურესაც იტყვიან (იმერბ.:197);

საოხდურესაც – „უხდურ“, ძირი თურქული – რძის პროდუქტი, საოხდურე– სათავსო, მარანი.

უიმანო შავ მიწაში აჯაბ იქ რა გემველება (მაჭ:356);

უიმანო – „იმან“, ძირი არაბული (არ.iman) – რწმენა, უიმანო–ურწმუნო.

მართალია, ტაო–კლარჯულ მეტყველებაში გვხვდება ქართული აფიქსების საშუალებით ნაწარმოები უცონოვანი ძირები, მაგრამ პარალელურად ხშირია იმავე ლექსიკური ერთეულების გამოყენება ქართული ძირებით. გვაქვს: გენჯობა // ახალობა, ახალგაზრდობა; დუგუნობა // ქორწილობა... საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ აღნიშნულ ფორმათა პარალელური გამოყენების შემთხვევებს:

გენჯობა // ახალობა, ახალგაზრდობა: კაი დღიები იყო, გენჯობა კაია (თ. Genç - ახალგაზრდა). პარალელურად გვხვდება: ახალობაში ჰიჩ არ გავჩერდებოდი.

დუგუნობა // ქორწილობა: ძველი დუგუნობა რაფრათაა, გეტყვი (თ.düğün - ქორწილი). ქორწილობა გოგო მხარე ასე იქნებოდა.

ხარმანობა // კალობა: თველობა ვიცით, ხარმანობა ვიტყვით (თ.harman-კალო). კალობა ვიცით.

გაჭერსება // გაბრაზება: გაჭერსება იცოდა, ჰერსიანი იყო ჩემი ბაბოი (თ. hers - ბრაზი, გაბრაზება). იმსოი გაბრაზება, გაგულვანება ვიცით...

ხისიმობა // ახრაბობა // ნათესაობა: ჩვენი ხისიმობა გევეცანით, ჰუდუდი გეიხსნა, კაია (თ. Akraba, hisim - ნათესავი). ჩემი დედას ნათესაობა მოიდენ, ბათუმ ზიან.

ზენგინობა // სიმდიდრე: ზენგინობა სულ არ მოგაჭმევიეფს (თ. Zengin) - სიმდიდრე. მდიდრობა დაჰა კაია.

მოსაფირობა // სტუმრობა: მოსაფირობა ბევრი იცოდენ ძუელეზმა, ადგა (თ. Misafir - სტუმარი). ილბაშობიხან სტუმრობა, მოსაფირობა იციან.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხშირია ქართული პრეფიქსებით ნაწარმოები ისეთი სიტყვები, რომელთა ძირი უცხოურია, ძირითადად, თურქული, ან თურქულში არაბულიდან და სპარსულიდან შემოსული: **ალთუნიანი, მუხტრობა, სადოსტე, უიმანო, კამპური, დელიობა, ფუხრობა, დუგუნობა, თერბიელობა, გენჯობა, ჰერსიანი...**

განსაკუთრებით საინტერესო ის ენობრივი ფაქტია, რომ ქართული აფიქსების საშუალებით ნაწარმოები უცხოენოვანი ძირების პარალელურად ხშირად გვხვდება იმავე ლექსემების გამოყენება ქართული ძირებით: **ახალობა // გენჯობა, ქორწილობა // დუგუნობა, სიმდიდრე // ზენგინობა, სტუმრობა // მოსაფირობა...**

ისტორიულმა რეალობამ სპეციფიკური კვალი დაუტოვა ტაო-კლარჯულ მეტყველებას. საუკუნუნების მიუხედავად, აქაურთა კულტურული მეხსიერება მაინც ინახავს ეროვნული ცნობიერების, ეროვნული იდენტობის მძლავრ ნიშანს-ენას. უცო ენობრივ სამყაროსთან ურთიერთობის მიუხედავად, ისინი ცდილობენ არ დაივიწყონ მშობლიური ენა. ეს კიდევ ერთხელ დასტურია ქართული ენის ძლიერებისა, რაც ნათლად ვლინდება იმაში, რომ

ენამ უცხო ენოვანი ძირები მოაქცია ქართულ ყალიბში. ეს კიდევ ერთი დასტურია ქართული ენის გამძლეობისა.

III თავი

3.1. კომპოზიციები ტაო-კლარჯულ მეტყველებაში

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, წარმოქმნა (დერივაცია) და თხზვა (კომპოზიცია) სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებებია. აკ. შანიძის აზრით, „წარმოქმნას, როგორც სახელთა შექმნის ერთ-ერთ საშუალებას, უპირისპირდება თხზვა“ (შანიძე, 1973:147). აქვე შევნიშნავთ, რომ ტერმინებს „სიტყვაწარმოება“, „წარმოქმნა“, „დერივაცია“ ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებს ბ. ფოჩხუა (ფოჩხუა, 1974:14).

სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალება– კომპოზიცია, ბუნებრივია, ტაო-კლარჯულშიც გვხვდება.

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხშირია ფუძის გაორკეცების ისეთი შემთხვევები, როცა სიტყვა განმეორებულია წინა თანხმოვნის შეცვლით; თუ სიტყვა ხმოვნით იწყება თანხმოვნის დამატებით, თხზულ სახელთა ასეთ სახეს ეწოდება **ასონანსი**. **ასონანსური** კომპოზიციები ხშირად გვხვდება იმერხეულში, ლივანურში, მაჭახლურსა და ტაოურში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოვლენა დასტურდება სხვა ენებშიც, კერძოდ თურქულში, სპარსულში. სწორედ ამ ენების, უპირატესად თურქულის გავლენით, აიხსნება მსგავსი კომპოზიციების ხშირი გამოყენება აქურთა მეტყველებაში: ჩვენი იქავრი დედეი **მიგარას–მიგარას** გადმეიტანდა, გაყიდდა; მერცხლებსა ბუჯერი გასაკეთებლად მუაქვან **ფუჩეჩი–მუჩეჩი**, **ტალახი–მალახი** (მაჭახ.:342); იმათ **გელი–მელი** ვერ მეეწევა (ტაო:175); სოფლის საქონელი **სისხლიანი–მისხლიანი** სახლში მოვდოდენ (იმერხ.:298); ჰამა შიმდი **თუთუნი–მუთუნი** ავწყვიტეთ (ლივ.:317); ჰაკი–მაკი არ ვიცი... ასე **ფათათ–ფუთათას** ნუ გვეყურები, ჯიგრიანი ვართ (იმერხ.:203); პირში–მირში სულ ჩუენი სულალე (ლივ.:324); **ქვა–მა** აქ ინსანსა (ლივ.:324); **ბადან–ბუდანას** ვებუცოთ (ფუტკ.:147); **ფერდე–მერდე** ჰა იყო მაშინ (ფუტკ.:148);

ნალებ-მალებ აჭედებენ, თვალი ცემისა არი (ფუტკ.:148); შაბამდენ ნუსხას-მუსხას (ფუტკ.:149); ბაღვობაში დაგვასახლეს, შეყვარება-მეყვარება არ ვიცოდით (ფუტკ.:153); წასლისხან ლობიებ-მოზიებ ანგრევდენ (ფუტკ.:151).

ტაო-კლარჯულის მსგავსად, ასონანსური კომპოზიციების გამოყენება, ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, ხშირად გამოიყენება აჭარულსა და მესხურში (ჯორბენაძე, 1989:395).

გვხვდება ისეთი კომპოზიციები, რომლებიც მარტივი გაორკეცების შედეგადაა მიღებული: თითო გუდას ავავსებდით, უსულ-უსულ ევდოდით (იმერხ.:208); უგმან-უგმან ადგილებშინა დავმალო (ტაო:177); გაღმა სერში ტყემლები კონწოლ-კონწოლ კიდა (იმერხ.:195); ვალაშენ სოფელში გარეთ-გარეთ ნამყოფნ მიწაზე თხილი მაქვან (ლივ.:331); ერიმტასაც დასჭრიან წმინდა-წმინდა (ტაო:180); სუქან-სუქანი თიკნები (მაჭახ.:347); მალლა-მალლა მიფრინავს (მაჭახ.:359). დილ-დილაი დევდოდა ყანაში (იმერხ.); უსულ-უსულ თელი დევსწავლე (იმერხ.:215); ჭახე ვაშლინა დაჭრა დილიმ-დილიმ (ლივ.:305); ხამდამ-ხამდამ იტყვის თავარი (ტაო:175); ერთიც გვალ-გვალ გააკეთებდა (ფუტკ.:149); მე ოჯახი გამომიმსეს შიერ-შიერმა გელებმა (მაჭახ.:347); ჩეშიტ-ჩეშიტი გურჯიჯეა იმერხევი, ბორჩხაში, გურჯისტანში...(ლივ.:306).

ტაო-კლარჯულში დასტურდება ისეთი კომპოზიციები, რომელთა შემადგენელ ნაწილებად შეიძლება იყოს სინონიმები, ან სინონიმებთან ახლოს მდგომი სიტყვები. ასევე, ანტონიმები ან ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომ საგნებს: ჩემი სახლ-კარი, ყანა-ბახჩა მაშინდელი აღებულია (ტაო:179); მემრე წასლა-მოსლა გასიხდა დაჰა (იმერხ.:217); დევლეღვე ცხვირ-პირი, მარა მაინც ვერ მუასწარ ამ ღარჭი ბარობაი (იმერხ.:216); ამას ქვია ზირზა-კოჭი (იმერხ.:293); თურქები დაულ-ზურნაზე დოუკრენ ანჯახ (იმერხ.:248); შიარ-ჩამიარ არ მოხუალ (იმერხ.:255);

ზირ-ბუდიანა ყარა საქმეზე ვართ გამოკიდებული (იმერხ.:283); აქა თექ-თუქ არიან გურჯები (იმერხ.:193); აქა-იქ იციან გურჯიჯა (იმერხ.:193); მოსულ ხუთშაფათსა **კოკ-ნიჩაბი** ასწიეთ, ჯამეკარში (ტაო:176); **თივა-ჭუავაი** არ დავტიე აქ სოფელშიო (ტაო:176); პარეკევი **ჯინ-ფერების** ქალაქია...გზაზე მოდიან **ჯინ-ფერები** (ტაო:174); **წახუალთ-მოხუალთ** გურჯიჯა აღარ დეიკარქვის (ლივ.:299); **ოურიეს-ჩოურიეს** ზუელი დ ახალი თივა (იმერხ.:2010); ვოი, მაი ლმაზი **ლეჩაქ-მენდილი** ვინ მოგიტანაო? (მაჭახ.:349); **მიხუალ-მოხუალ** მენალები, სასიკვდილოდ მებრალები (მაჭახ.:350); **ცხვირ-ბუკ** ვატეხავთ ქართულსა, გვინდა კარქა ვისწავლოთ (მაჭახ.:360).

ზოგჯერ კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი სახელია, მეორე კი სახელზმნა: **ყურგახვრეტლი; პირსაბანი; ხელსაბანი; ჯანშეწუხებული...**

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ასონანსური კომპოზიტები, როგორცაა: **ჰაკი-მაკი; თუთუნ-მუთუნი; პირში-მირში, გელი-მელი, ნალებ-მალები, ფერდე-მერდე, ტალახი-მალახი** და ა.შ. მსგავსი მოვლენა შესაძლებელია აიხსნას თურქული ენის გავლენით.

ტაო-კლარჯულში დასტურდება, ასევე, ისეთი კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ნაწილებად შეიძლება იყოს სინონიმები, ან სინონიმებთან ახლოს მდგომი სიტყვები. ასევე, ანტონიმები ან ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომ საგნებს: **ყანა-ბაღჩა, შიარ-ჩამიარ, ცხვირ-პირი, ლეჩაქ-მანდილი, ცხვირ-ბუკი...**

გვხვდება მარტივი გაორკეცების შემთხვევები: **უსულ-უსულ, მალლა-მალლა, სუქან-სუქანი, გვალ-გვალი...**

3.2. სახელთა გაზმნავება

ქართულ სალიტერატურო ენაში სახელთაგან ზმნების წარმოება საკმაოდ გავრცელებული პროცესია. რომელიმე სიტყვისაგან ახალი ლექსიკური ერთეულის მიღება, როგორც ალ. ლლონტი განმარტავს „სიტყვის გადასვლა ერთი თანრიგიდან მეორეში“, ქართული სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მახასიათებელია. „სახელის ფუძისაგან ზმნის წარმოქმნა ქართული ენის სიტყვაწარმოების ერთ-ერთი უძველესი თვისებაა (ლლონტი, 1984:45).

როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე სამხრულ-დასავლურ მეტყველებაშიც გვხვდება სახელთა გაზმნავების შემთხვევები. აქაურთა მეტყველებაში ძირითადად შეინიშნება არსებითი და ზედსართავი სახელისგან მიღებული ზმნური ფორმები.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ არსებით სახელთა გაზმნავების გზით მიღებულ ფორმებს: რომ **დეემუჟრა** შენი თავი საკითხ-მაკითხი გახდებოდა (ფუტკ.:155); **გედეიწიგნეთ** და ჩამომითვალეთ (ფუტკ.:156); კაცი ქალ **გუუჰერსდებოდა**, თუ სტუმარ არ დაჰაიჯებდა (ფუტკ.:156); გაღმა თეთრი ქათამი, გამოღმით **მოკაკანებს** (ფუტკ.:162); **დავთაფნავდით** თაფნით (ფუტკ.:162); გაკოჭავდენ, კონდაღია, იტყოდენ **გავკონდაღეო** (ფუტკ.:173); მელოგინე ქალი კაცის სახში **მეილოგინებდა** (ფუტკ.:173); აქა კარებ აჭედებენ, **სეირობენ**, იყრებიან მილეთი სასეიროთა (ტაო:170); იქიდან არ უუწევინ, არ **გუდუუსოფლებიან** (მაჭახ.:334); **დევეკლინო** ვინმეო, ვიტყვით (მაჭახ.:335); მე **ვგულიანდებო**, ასე ვიცით თქმა (ტაო:174); ისინი უზუმათ ვერ **იხვარათებენ** (ტაო:170); ჰევი **ჰმიანობს** (ტაო:175); **ფერჰულობენ** (ტაო:174); იმ ხიდზე მივდიოდით, **ვბადრამობდით** (მაჭახ.:334); ასულა ფაფართზე და **დუუფიცებია** (მაჭახ.:338); ხეირიას და რამეთიმე ამხანაგს **დუუფიმანებიან** (მაჭახ.:340); დედეი გვის, აწყნარეფს სახლსა, **გაცოდვილდა** (იმერხ.:203); იმით და **დარობავს**, და **დალინგავს** (მაჭახ.:334); დედოფალი **იდედოფლებს** ქოშეში(მაჭახ.:335);

იმერხეველები **დუუტყვილები**ან ამფრათ (მაჭახ:338); **ვწყენულობ** იმაზე, რომე საქართველოს საქმე წორეთ არ წასულა, **იკინწყები**ან შიან(მაჭახ:339); იმა ჩემი დედამთილი **გამოსანთლევდა** (ფუტკ.); გამონაწურ ჩაჩას გააწმობენ, **მოგუნდავენ**, საქონელს აჭმევენ (იმერხ.:208); **გეითხილამურებს** და აღარ მოგხედავს სიზე (იმერხ.:208); ქალებ მუასხამ, **გავადლოფლებ** (იმერხ.:209).

ხშირია ზედსართავი სახელისგან ნაწარმოები ზმნური ფორმები: თავ არ მეიკნაჭევდენ, **გიგითეთრდება**ო (ფუტკ.:163); გადმოვხედე, რომ სობა ანთია, **გაწითლებულა** (ფუტკ.:180); ფიცარი **გადამშიერდება**, თვალები გუუხდება (ფუტკ.:165); წუხელ ითოვლა, **გათეთრა** ხევნარი (ტაო:171); **მუასუფთონ** ყუელამა იქაურობა (მაჭახ.:361); **დეიპილწვი** დედიმ, არ გინდა პოლიტიკა-მეთქი, ამა არ დიმიჯერა (მაჭახ.:361); **აწყნარეფს** სახლსა (იმერხ.:203).

ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაშიც გვხდება სახელთა გაზმნავების არაერთი შემთხვევა: **გედეიწიგნეთ**, **მეილოგინებდა**, **გუდუუსოფლები**ან, **გეითხილამურებს**, **გადამშიერდება**, **გაწითლებულა**, **დეიპილწვი**, **მუასუფთონ**...

დასკვნები

1. სიტყვაწარმოება ენის საინტერესო და მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, იგი ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა, რომელიც ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. სიტყვაწარმოების საშუალებით ენა განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც ასახავს საზოგადოების კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

სიტყვაწარმოება არის ის ბაზა, ის საფუძველი ენისა, რომლითაც ჩვენი ენის ლექსიკური მარაგი მდიდრდება. ამ მიმართებითაც, ქართული ენის გრამატიკის ეს მონაკვეთი მეტად საინტერესოა. მითუმეტეს, უფრო საინტერესო და საყურადღებოა სიტყვაწარმოებითი თავისებურებების შესწავლა ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა დიალექტში, რადგან სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, დიალექტი შეუზღუდავი მეტყველებაა, მასში თვითნებურად ვითარდება გრამატიკული პროცესები, ამიტომ ენობრივ პროცესთა მრავალფეროვანი სურათი გვეძლევა.

2. ჩვენი კვლევის მიზანია ტაო-კლარჯულ მეტყველებაში სიტყვაწარმოების თავისებურებათა გამოვლენა. თემის აქტუალურობა განსაკუთრებით განისაზღვრება იმით, რომ ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, XVI საუკუნიდან სამხრეთ საქართველო ოსმალეთმა მიიტაცა. მათ საქართველოს წაართვეს მთელი ჭოროხისა და მტკვრის ზემო წელი, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ოსმალეთის შიგა პროვინციებში იძულებით გადაასახლეს. ბუნებრივია, აქაურთა მეტყველება მოწყვეტილია თავის მასაზრდოებელ წყაროს – ქართულ ენას და განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას. ამ რეალობის ფონზე კი, ტაო-კლარჯელთა მეტყველებაზე დაკვირვება კიდევ უფრო საინტერესოსა და სახასიათოს ხდის კვლევას.

ისტორიული რეალობის გამო, საუკუნეების განმავლობაში შეუსწავლელი იყო ამ კუთხის მეტყველება. მხოლოდ XX საუკუნის 90-იან

წლებიდან პროფესორმა შ. ფუტკარაძემ დაიწყო ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესწავლის ახალი ეტაპი.

პროფ. შ. ფუტკარაძის აზრით , **იმერხელი, ლივანური (ნიგალური), მაჭახლური და ტაოს ქართული (ტაოური)** სხვადასხვა ტაო-კლარჯული კილოებია. მან კლარჯეთში შემავალი კუთხეები ერთმანეთისგან გამოყო ისტორიულ-გეოგრაფიული, ენობრივი და ეთნიკური ნიშნით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულია პროფ. მამია ფაღავას შეხედულება. ის სამხრული მეტყველების დიალექტური დაყოფისას ითვალისწინებს ლინგვისტურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ ფაქტორებს. პროფ. მამია ფაღავას კლასიფიკაციის მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა შემდეგი დიალექტები: შავშური დიალექტი, სადაც გამოიყოფა **იმერხელი და მაჭახლური კილოკავები; კლარჯული დიალექტი**, სადაც გამოიყოფა **ზემოკლარჯული და ქვემოკლარჯული კილოკავი; ტაოური დიალექტი; აჭარული დიალექტი**, სადაც გამოიყოფა შემდეგი კილოკავები: **ზემოაჭარული, ქვემოაჭარული და ქობულეთური**.

3. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში წარმოქმნილ სახელებს აწარმოებს პრეფიქსები, სუფიქსები და პრეფიქს-სუფიქსები. შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში გამოიფოფა შემდეგი ჯგუფები: ქონების, უქონლობის, აბსტრაქტული, ხელობის, წარმომავლობის, დანიშნულების, ზედსართავი, წინა ვითარების, მცენარეთა კრებულის, რიცხვითი, კნინობითი და გეოგრაფიული სახელები.

ნაშრომში განხილულია უცხო აფიქსებიანი სახელები. ასევე, ქართული პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები უცხო ენოვანი ძირებიც. ზოგადად მიმოხილულია კომპოზიტური წარმოების სახელებიც, რამეთუ თხზვა (კომპოზიცია) სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებაა. ამასთანავე, საუბარია

სახელთა გაზმნავების საკითხზეც. ესეც საკმაოდ გავრცელებული პროცესია, ქართულ სალიტერატურო ენის მსგავსად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში და სიტყვაწარმოების ერთ-ერთი უძველესი თვისებაცაა.

4. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ყოლა-ქონების აღმნიშვნელი მაწარმოებლებიდან ძირითადად გვხვდება –**იან**, –**ოვან**, –**იერ**. თვალში საცემია, რომ ქონების შინაარსის გადმოსაცემად გავრცელებულია –**იან** სუფიქსი: **თოვლიანი**, **ალთუნანი**, **ტარიანი**, **კუდიანი**, **ზივიანი**, **ძიანი**, **რამაზნიანი**, **ჰერსიანი**... –იან სუფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ისე უცხოძირიან ლექსემებს.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ –იან სუფიქსი ყოლა-ქონების შინაარსის გამომხატვის გარდა, სხვა შინაარსობრივი ნიუანსითაც იტვირთება. კერძოდ, შტო-გვარების მაწარმოებლადაც გვევლინება: **კაკულიანი**, **ყარაჰმედიანი**, **სალეფიანი**... ასევე, –იან სუფიქსი წარმომავლობისა და სიმრავლის გამოსახატავად გამოიყენება, როცა სახელი ნანათესაობითარი სახელობითითაა გადმოცემული: **ტაიასანი**, **ბიბიასანი**, **ნენესანი**... ამდენად, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში –იან სუფიქსი ინარჩუნებს ძველი ქართული ენის ფუნქციას, კერძოდ, სიმრავლეს, მიმდევრობასა და წარმომავლობასაც გამომხატავს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გამოკვეთა, რომ –**ოვან** სუფიქსს ტაო-კლარჯულ მეტყველებაში დაკარგული აქვს ქონების შინაარსის გამომხატველი ძალა. ის მხოლოდ ზედსართავ სახელთა თანაბრობითი ხარისხის გამოსახატავად დასტურდება: **დიდუანი**, **პატიტუანი**, **პაწაწუანი**...

–**იერ** სუფიქსიანი სახელები არც აქ გვხვდება. იგი მხოლოდ ერთ ფორმასთანაა აქტიური გამოყენების – **სოფლიერი**.

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში უქონლობის შინაარსის გადმოსაცემად ძირითადად უ-ო თავსართ-ბოლოსართი ბატონობს: **უდედო, უწყალო, უქალო, უქონო, უცეცხლო...** სპორადულად გვხვდება უ-ურ: **უგემური**.

5. აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად ძირითადად გვხვდება -ობა სუფიქსი როგორც ქართულ, ასევე თურქულ სიტყვა-ძირებთან: **ლამაზობა, ახალობა, ქალობა, ბაღლობა, ცოდინარობა, ჯუმბუშობა, მუხტრობა, დუგუნობა...** მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში -ობა სუფიქსი, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, გამოიყენება მრავლობითი რიცხვის გამოსახატავად: თქვენსა კაი **ბალახობა** იცის (იმერხ.:223); კაი, **დღიობა** მოგცეს (იმერხ.:253)...

ობა-თი ნაწარმოები ზოგიერთი სახელი გამოხატავს მოქმედებას, იგი საწყისური წარმოშობისაა: **კალვობა, ჩხოკობა, ასკრობა, ჭალობა...**

6. ხელობის სახელთა საწარმოებლად ტაო-კლარჯულ მეტყველებაში გვხვდება მე-ე და მო-ე პრეფიქს-სუფიქსი: **მენავე, მელოგინე მეტყე, მოსამე, მოსაქმე...**

საყურადღებოა, რომ ქართული პრეფიქს-სუფიქსების პარალელურად გამოიყენება თურქული მაწარმოებლებიც (cu, cu, ci): **ოტელჯი, ბალჯი...**

7. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გვხვდება -ელ სუფიქსი, რომელიც ქართული ენის მსგავსად, აქაურთა მეტყველებაშიც ადამიანთა სადაურობის მაჩვენებელია: **ბურჯურელი გოგო; ჩიხვტელი ქალი; ცხემლელი კაცი; მინდიელი კაცი; აგარელი ქალები...**

როგორც აღვნიშნეთ, შეინიშნება ერთი თავისებურება, კერძოდ -ელ ბოლოსართი „ა“ მაწარმოებლის დართვით, აღნიშნავს გათხოვილი ქალის წარმომავლობას: **დიობნელაი, ბზათელაი, ტიბეთელაი...**

ტაო-კლარჯულ მეტყველებაში –ურ//–ულ ბოლოსართიც, ქართული ენის მსგავსად, გამოიყენება არაადამიანთა სადაურობის გამოსახატავად: შავშური ლობიაი, მანატბური გზა, ჩიხორული ღელე; იხლამური ცაცხვი...

როგორც საილუსტრაციოდ წარმოდგენილმა მაგალითებმა გვიჩვენა, ადამიანთა წარმომავლობის –ელ სუფიქსი, მსგავსად ქართული ენის სხვა დიალექტებისა, ზოგჯერ გამოდის არაადამიანთა წარმომავლობის –ურ სუფიქსის მონაცვლედ: ნენეი ტიბეთური, მანატბური ვარ, მანატბური ხოჯა, ხობლევეური კაცი, მაჩნატეთური დესტანჯი, შავშური გელინი...

და ბოლოს, ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, კერძოდ ზედა მაჭახლურში, გვხვდება წარმომავლობის მაწარმოებელი უძველესი სუფიქსი –არ, რომელიც რამდენიმე ფორმას დაუცავს: აჰმედაი ჩიქუნარია, სიძე ჩხუტუნარი მყავდა, ჰაირიეში მყავდა ჩიქუნარები...

8. დანიშნულების სახელთა საწარმოებლად გვხვდება თავსართ-ბოლოსართები, უპირატესად სა-ე, სა-ო და იშვიათად სა-ურ. სა-ე: სათიკნე, სათხე, საფურე, საჯბოვრე... სა-ო: საფექრო, საყვაგილო... სა-ურ: საკისური, საჭამური...

ამასთანავე, აქაურთა მეტყველებაში დანიშნულების სახელებს აწარმოებს თავსართ-ბოლოსართი სა-ელა: სარეკელა, საწუელელა, სამოვნელა... ზოგჯერ სა-ელა „ა“-ს გარეშეცაა წარმოდგენილი: სარტყელი, სქსოვნელი, სასმელი, საჩეჩელი...

არცთუ იშვიათია დანიშნულების სახელთა სა- პრეფიქსიანი წარმოება: სარწყავი, სათელავი, საფაჭი, სათესავი...

9. როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულ მეტყველებაში წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება

თავსართ-ბოლოსართები: ნა-არ და ნა-ე: ნაჯვარევი, ნასახლარი, ნაფურნევი, ნაჭალვარი...

10. -ნარ სუფიქსი, როგორც ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულ მეტყველებაშიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე მაგ: ფიშნარი; ნაძვნარი. მაგრამ სახასიათო ის არის, რომ -ნარ სუფიქსს დაეკისრა დამატებითი ფუნქცია, მრავლობითობის გამოხატვა. აღნიშნული ფუნქციით ამ სუფიქსის გამოყენების არე საკმაოდ ხშირია: კარნალი (კარები), რუვნალი(რუები), გზევნარი(გზები), ხევნარი(ხეები), კილდევნარი(კლდეები)...

11. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში კნინობითი სახელების საწარმოებლად ძირითადად გამოიყენებენ -ა, -აკ, -უკ, -უნ, -ულა მაწარმოებელები: კარდალა; ქილაკაი; წანწალაკი; ლულუკაი...

-ა სუფიქსი დაერთვის საკუთარ სახელებსაც: შაქირაი; ისმალაი; ისკენდერაი...

-ა სუფიქსი ყოველთვის არ გამოხატავს კნინობითობას. იგი ხშირად დაერთვის სხვადასხვა მცენარეთა სახელებს: ადესამ, სასელამ, სამყურამ, სანათამ...

ხშირია ხეხილის ჯიშების აღმნიშვნელ სახელებთანაც: მურღულამ, ხეჭეჭურამ, სასელამ, სხალთაფლამ...

გვხვდება ბალახის სახეობათა აღმნიშვნელ სიტყვებთან: სამყურამ, წყეროფეხამ, შხამამ, ქათამნაცარამ...

ხშირია -ა სუფიქსის გამოყენება ცხოველთა სახელებთან: ჩიჩეგამ, ვარდნათელამ, მათსამ, წაბლამ, დედიფერამ...

ტაო-კლარჯულ მეტყველებას შემოუნახავს კნინობით-ალერსობითი შინაარსის გამომხატველი ლექსიკური ერთეულებიც: **ნენულა, ბაბულა...**

12. გეოგრაფიულ სახელთა გავრცელებული ფორმანტია –ეთ ბოლოსართი: **მაღაყმეთი, ვაციეთი, საფუტკრეთი, ქოქლიეთი, ოსანეთი...** თანაც აღნიშნული ტიპის გეოგრაფიულ სახელებში –ეთ ბოლოსართი დაერთვის გვარის სახელებს, რომლებიც ამ პუნქტში სახლობს, ან სახლებულა.

გავრცელებულია კომპოზიტიური წარმოების გეოგრაფიული სახელები, ასეთ შემთხვევაში კომპონენტ სიტყვებად გვხვდება **ყანა, ღელე, ქედი: ხეჩაყანა, ნაძვიქედი, ვაშლიქედი, ურწყოდელე...** უფრო გავრცელებულია კომპონენტ სიტყვად **ჰევი და კარი: შოლტიჰევი, სამოთჰევი, ელიაჰევი, ვეჟანჰევი, დევსეკარა, ჰელენკარა, გოდლეკარი, ობლეკარი...**

გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი კი, ადგილის ადრინდელი მდგომარეობის გამომხატველია: **ნაჯვარევი, ნაკალოები, ნაპურვალი, ნაფიცრები...**

13. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზედსართავ სახელთა ხარისხის საწარმოებლად არ გამოიყენება ქართული მაწარმოებლები: **მოწითალო, მოსიქლო...**

ძირითადად ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა აღწერითი წრმოება ბატონობს. აქაურთა მეტყველებაში ხარისხის ფორმებს თურქულ-არაბული ნაწილაკები, დამხმარე სიტყვები **ენ, ფენა, დაჰა** აწარმოებს: **დაჰა გემრიელი, ფენა თეთრი, ენ ლამაზი, დაჰა ლამაზი, დაჰა ძველი, ფენა ძვირი...**

14. ტაო-კლარჯულ მეტყველებას შემოუნახავს ძველი ქართულისებური თვლის სისტემა. აქაურთა მეტყველებაში, თვლის სისტემას არქაული იერი დაჰკრავს: **ათერთმეტი, ათდაორი, ათდასამი, ათდაოთხი...** სპორადულად

ოცობითი თვლის სისტემა იჩენს თავს: **ორ ოცი, შვიდოცი...** ამ მიმართებით, ტაო-კლარჯული მეტყველება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების თავისებურებას იმეორებს.

რიგობითი რიცხვითი სახელების გამოსახატად, რიცხვითი სახელის ფუძე, ქართულის მსგავსად დაირთავს მე-ე პრეფიქს-სუფიქსს: **მერევე, მესამე...**

როგორც ქართულში, ასევე ტაო-კლარჯულში **წილობით** სახელთა წარმოებისათვის რიგობით რიცხვით სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაა გამოყენებული: **მეერთედი, მეორედი**. მნიშვნელოვანია ის, რომ აქ პირველს ენაცვლება **მეერთე** ფორმა.

ტაო კლარჯულ მეტყველებაში რიცხვით სახელებთან ხშირად გამოიყენება სპარსული წარმოშობის სიტყვა „tane“, რომელიც **“ცალი, ცალკეული რამის“** მნიშვნელობით გამოიყენება: **ათი თანე, ორი თანე, ასი თანე...**

15. თურქული ენის გარემოცვაში მოხვედრილ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ზოგჯერ თავს იჩენს უცხო აფიქსიანი წარმოების სიტყვები: **დესტანჯი, აქორდიონჯი, არაბჩა, თურქჩა...**

16. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხშირია ქართული პრეფიქსებით ნაწარმოები ისეთი სიტყვები, რომელთა ძირი უცხოურია, ძირითადად, თურქული, ან თურქულში არაბულიდან და სპარსულიდან შემოსული: **ალთუნანი, მუხტრობა, სადოსტე, უიმანო, კამპური, დელიობა, ფუხრობა, დუგუნობა, თერბიელობა, გენჯობა, ჰერსიანი...**

განსაკუთრებით საინტერესო ის ენობრივი ფაქტია, რომ ქართული აფიქსების საშუალებით ნაწარმოები უცხოენოვანი ძირების პარალელურად ხშირად გვხვდება იმავე ლექსემების გამოყენება ქართული ძირებით: **ახალობა**

// გენჯობა, ქორწილობა // დუგუნობა, სიმდიდრე // ზენგინობა, სტუმრობა // მოსაფირობა...

ისტორიულმა რეალობამ სპეციპიკური კვალი დააჩნია ტაო-კლარჯულ მეტყველებას. საუკუნუნების მიუხედავად, აქაურთა კულტურული მეხსიერება მაინც ინახავს ეროვნული ცნობიერების, ეროვნული იდენტობის მძლავრ ნიშანს-ენას. უცხო ენობრივ სამყაროსთან ურთიერთობის მიუხედავად, ისინი ცდილობენ არ დაივიწყონ მშობლიური ენა. ეს კიდევ ერთხელ დასტურია ქართული ენის ძლიერებისა, რაც ნათლად ვლინდება იმაში, რომ ენამ უცხო ენოვანი ძირები მოაქცია ქართულ ყალიბში. ეს კიდევ ერთი დასტურია ქართული ენის გამძლეობისა.

17. ტაო-კლარჯულ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ასონანსური კომპოზიტები, როგორცაა: ჰაკი-მაკი; თუთუნი-მუთუნი; პირში-მირში, გელი-მელი, ნალეზ-მალეზი, ფერდე-მერდე, ტალახი-მალახი და ა.შ. მსგავსი მოვლენა შესაძლებელია აიხსნას თურქული ენის გავლენით.

ტაო-კლარჯულში დასტურდება, ასევე, ისეთი კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ნაწილებად შეიძლება იყოს სინონიმები, ან სინონიმებთან ახლოს მდგომი სიტყვები. ასევე, ანტონიმები ან ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ რაიმე ნიშნის მიხედვით ახლო მდგომ საგნებს: ყანა-ბაღჩა, ზირ-ბუდიანა; შიარ-ჩამიარ, ცხვირ-პირი, ლეჩაქ-მანდილი, ცხვირ-ბუკი...

გვხვდება მარტივი გაორკეცების შემთხვევები: უსულ-უსულ, მალა-მალა, სუქან-სუქანი, გვალ-გვალი...

18. ტაო-კლარჯულ მეტყველებაშიც გვხვდება სახელთა გაზმნავების არაერთი შემთხვევა: გედეიწიგნეთ, მეილოგინებდა, გუდუუსოფლებიან, გეითხილამურებს, გადამშიერდება, გაწითლებულა, დეიპილწვი, მუასუფთონ...

19. ამრიგად, ტაო-კლარჯულ მეტყველებას სიტყვაწარმოების დიდი შესაძლებლობები მოეპოვება. ისიც სალიტერატურო ქართული ენის მსგავსი ხერხებისა და საშუალებების გარდა, სიტყვაწარმოების დროს ავლენს თავისებურებებს. გამოიკვეთა, რომ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში მეტნაკლებად შენარჩუნებულია ძველ ქართულ ენაში არსებული სიტყვაწარმოების წესები, ასევე, აფიქსები ზოგჯერ ფონეტიკური ცვლილებებით ან კიდევ შეცვლილი ფუნქციითაა წარმოდგენილი. გამოიკვეთა სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე, 1988 – გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988.
2. გიგინეიშვილი, 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.
3. თოფურია, 1954 – ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, თბილისი, 1954.
4. მარტიროსოვი... 1956 – არ. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956.
5. მარტიროსოვი, 1972 – არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბილისი, 1972.
6. მარტიროსოვი, 1984 – არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბილისი, 1984.
7. ნიჟარაძე, 1975 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1975.
8. ნიჟარაძე, 1982 – შ. ნიჟარაძე, სიტყვაწარმოება აჭარულში, ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები, ბათუმი, 1982.
9. სურმავა, 1983 – ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, ბათუმი, 1983.
10. უთურგაიძე, 1968 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1968.

11. ფაღავა... 2011 – მ. ფაღავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკაძე, ნ. ცეცხლაძე, მ. ბარამიძე, თ. ფუტყარაძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩოხარაძე: შავშეთი, ბათუმი, 2011.
12. ფაღავა, 2015 – მ. ფაღავა, სამხრული კილოები – შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი, 2015.
13. ფაღავა... 2016 – მ. ფაღავა, მ.ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ.ჩოხარაძე, თ.შიოშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე: კლარჯეთი, ბათუმი, 2016.
14. ფაღავა... 2016 – მ. ფაღავა, მ.ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ.ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, რ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე: ტაო, ბათუმი, 2020.
15. ფოჩხუა, 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
16. ფუტყარაძე, 1993 – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, I, ბათუმი, 1993.
17. ფუტყარაძე, 2016 – შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, II, ბათუმი, 2016.
18. ფუტყარაძე, 2019 – ე. ფუტყარაძე, რ. მალაყმაძე, ნ. ჩელეძაძე, ი. თანდილავა, ზედა მაჭახელი, I, თბილისი, 2019.
19. ფუტყარაძე, 2020– ე. ფუტყარაძე, სიტყვაწარმოების ზოგიერთი თავისებურება სამხრულ–დასავლურ მეტყველებაში, „ქართველური მემკვიდრეობა“, ქუთაისი, 2020.

20. ქავთარაძე, 1985 – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.
21. ღლონტი, 1984 – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1984.
22. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973.
23. ჩიქობავა, 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
24. ჩოხარაძე... 2020 – მ. ჩოხარაძე, მ. ფაღავა, ნ. ფარტენაძე, თ. შიოშვილი, ს. შაშიკაძე, რ. ბარამიძე, თ. ჩოხარაძე, მარადიდი, ბათუმი, 2020.
25. ძიძიგური, 1973 – შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბილისი, 1973.
26. ძოწენიძე, 1973 – ქ. ძოწენიძე, ზემო იმერული კილოკავი, თბილისი, 1973.
27. ჭავჭავაძე, 1973 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, V, თბილისი, 1973.
28. ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.